შპს „საქართველოს ფოსტა“-ს

# მომხმარებლის სახელმძღვანელო

**დამტკიცებულია:** „საქართველოს ფოსტა“-ს
გენერალური დირექტორის
2016 წლის 6 მაისის #15-01/227 ბრძანებით

**ძალაშია:** 2016 წლის 16 მაისიდან

**ავტორი:** ანა მანჯგალაძე

საქართველოს ფოსტა
2015

## სარჩევი

*კარი I . ზოგადი დებულებები* ............................................................................................. 5

**თავი 1. შესავალი ..................................................................................................... 5**

მუხლი 1. გამოყენების სფერო და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი .................................................... 5

მუხლი 2. საფოსტო გზავნილების დამისამართება და გამოყენებული ენები ........................................................ 5

მუხლი 3. საფოსტო გზავნილების და მომხმარებლის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვა .... 6

**თავი 2. ტერმინები და განმარტებები ..................................................................... 7**

მუხლი 4. გამოყენებული ტერმინები ................................................................................................... 7

მუხლი 5. განმარტებები ........................................................................................................................ 11

*კარი II . საფოსტო პროდუქტების სახეები და კატეგორიები* ..................................................... 12

**თავი 3. საფოსტო პროდუქტების სახეები და კატეგორიები ............................................................ 12**

მუხლი 6. საფოსტო პროდუქტების სახეები ........................................................................................ 12

მუხლი 7. საფოსტო პროდუქტების კატეგორიები სახეების მიხედვით ..................................................12

*კარი III . წერილობითი კორესპონდენცია* ........................................................................... 13

**თავი 4. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება ........ 13**

მუხლი 8. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა ................................................ 13

მუხლი 9. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე .............................................................................................................................. 14

მუხლი 10. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები ........................ 16

მუხლი 11. დამატებითი პირობები მარტივი წერილობითი კორესპონდენციის შესახებ ....................................... 17

**თავი 5. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება .. 17**

მუხლი 12. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა ............................................ 17

მუხლი 13. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე ............................................................................................................................... 18

მუხლი 14. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები ...... 22

მუხლი 15. დამატებითი პირობები რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ .................... 24

**თავი 6. წერილობითი კორესპონდენციის დამატებითი სერვისები .............................. 24**

მუხლი 16. ორჯერადი ვიზიტი ................................................................................................................ 24

მუხლი 17. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება ........................................................................................ 25

მუხლი 18. მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება ................................................................... 25

მუხლი 19. გზავნილი - ჩაბარების დასტურით ........................................................................................ 26

მუხლი 20. წერილობითი კორესპონდენციის არასამუშაო საათებში მიღება ............................................... 27

მუხლი 21. სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა .......................................................................................... 27

მუხლი 22. ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ 27

მუხლი 23. ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა ......................................... 28

*კარი IV . ამანათი* ............................................................................................................. 29

**თავი 7. რეგისტრირებული ამანათის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება ............................................ 29**

მუხლი 24. რეგისტრირებული ამანათის მიღება/გაგზავნა .......................................................................... 29

მუხლი 25. რეგისტრირებული ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე .................. 29

მუხლი 26. რეგისტრირებული ამანათის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები ............................................ 30

მუხლი 27. დამატებითი პირობები რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათისთვის .................... 31
**თავი 8.საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მიღება და ჩაბარება .............................. 32**
მუხლი 28. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მიღება ........................................................................... 32
მუხლი 29. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე .................................. 32
მუხლი 30. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მიღება/ტრანსპორტირების და ჩაბარების ვადები .................. 33
მუხლი 31. დამატებითი პირობები საერთაშორისო სახმელეთო ამანათისთვის ..................................................... 34
**თავი 9. სასჯელაღსრულების ამანათის მიღება და ჩაბარება ........................................................... 34**
მუხლი 32. სასჯელაღსრულების ამანათის მიღება ..................................................................................... 34
მუხლი 33. სასჯელაღსრულების ამანათის ჩაბარება ................................................................................... 34
მუხლი 34. სასჯელაღსრულების ამანათის ჩაბარების ვადები ........................................................................ 35
**თავი 10. ამანათის დამატებითი სერვისები ................................................................ 35**
მუხლი 35. ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება ............................................................................ 35
მუხლი 36. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება ........................................................................................ 36
მუხლი 37. ამანათი - ჩაბარების დასტურით .............................................................................................. 36
მუხლი 38. ამანათის არასამუშაო საათებში მიღება .................................................................................. 37
მუხლი 39. ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ. 37
მუხლი 40. ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა ........................................ 38

*კარი V. EMS გზავნილი* ........................................................................................................................ 39
**თავი 11. EMS გზავნილის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება ................................................ 39**
მუხლი 41. EMS გზავნილის მიღება/გაგზავნა .......................................................................................... 39
მუხლი 42. EMS გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე ....................................... 39
მუხლი 43. EMS გზავნილის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები ............................................................ 41
მუხლი 44. EMS გზავნილის დამატებითი დებულებები ............................................................................... 42
**თავი 12. EMS გზავნილის დამატებითი სერვისები ........................................................................ 42**
მუხლი 45. ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ 42
მუხლი 46. ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე EMS გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა .............................. 43
მუხლი 47. გზავნილის დაზღვევა ............................................................................................................ 43
მუხლი 48. EMS გზავნილის არასამუშაო საათებში მიღება ........................................................................ 44

*კარი VI. AVIA გზავნილი* ..................................................................................................................... 45
**თავი 13. AVIA გზავნილის მიღება/გაგზავნა ............................................................ 45**
მუხლი 49. AVIA გზავნილის მიღება/გაგზავნა ......................................................................................... 45
მუხლი 50. AVIA გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადები ............................ 45
**თავი 14. AVIA გზავნილის დამატებითი სერვისები .................................................... 46**
მუხლი 51. AVIA გზავნილის დაზღვევა .................................................................................................... 46

*კარი VII. პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები* .......... 47
**თავი 15. „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები ......................................................................................... 47**
მუხლი 52. „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა .............................................................. 47
მუხლი 53. გარემოებები, რომლის დროსაც „საქართველოს ფოსტა“ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან .. 48
მუხლი 54. დაუძლეველი ძალა ............................................................................................................... 49

**თავი 16. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები ............. 50**
მუხლი 55. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა ........................................ 50
მუხლი 56. გამგზავნის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები ........................................ 50

*კარი VIII. ზიანის ოდენობის ზღვრული ოდენობა* ........................................ 51
**თავი17. „საქართველოს ფოსტის" მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა ................ 51**
მუხლი 57.ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში ........................................ 51
მუხლი 58. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - საერთაშორისო EMS გზავნილის შემთხვევაში ....................... 53
მუხლი 59. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - საერთაშორისო AVIA გზავნილის შემთხვევაში ..................... 54
მუხლი 60. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - სახმელეთო ამანათის შემთხვევაში ........................................ 55
მუხლი 61. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის შემთხვევაში

**თავი18. გამგზავნის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა ........................................... 55**
მუხლი 62. ზიანის ოდენობა ........................................ 55

*კარი IX. გადაწყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე* ........................................ 56
**თავი 19. რეკლამაციების განხილვა ........................................ 56**
მუხლი 63. რეკლამაციის წარდგენა და განხილვა ........................................ 56
მუხლი 64. რეკლამაციის განხილვის ვადა ........................................ 57
**თავი 20. ზიანის ანაზღაურება ........................................ 57**
მუხლი 65. ზიანის ანაზღაურების წესი ........................................ 57

*კარი X. საერთო დებულებები* ........................................ 59
**თავი 21. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება საფოსტო გზავნილების გაგზავნა და მიღება .... 59**
მუხლი 66. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება მარტივი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნა ......... 59
მუხლი 67. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის, ამანათისა და EMS გზავნილის გაგზავნა ........................................ 61
მუხლი 68. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება AVIA გზავნილის გაგზავნა ........................................ 63
მუხლი 69. სახელმწიფოები, საიდანაც ხორციელდება სახმელეთო ამანათის მიღება ........................................ 64
**თავი 22. სავალდებულო საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ჩაბარების წესი ........................................ 65**
მუხლი 70. სავალდებულო საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების წესი ........................................ 65
მუხლი 71. საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილების დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების წესი ........................................ 65
**თავი 23. აკრძალვები და შეზღუდვები ........................................ 66**
მუხლი 72. აკრძალვები და შეზღუდვები საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ ........................................ 66
**თავი 24. დასკვნითი დებულებები ........................................ 67**
მუხლი 73. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება ........................................ 67
მუხლი 74. ინტერპრეტაცია და ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ........................................ 67

# კარი I . ზოგადი დებულებები

## თავი 1. შესავალი

**მუხლი 1. გამოყენების სფერო და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი**

1.1. „მომხმარებლის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს იმ პირობების ერთობლიობას, რომელსაც „საქართველოს ფოსტა“ სთავაზობს მომხმარებელს, საფოსტო-საკურიერო მომსახურების განხორციელებისას.
1.2. ამ დოკუმენტით განსაზღვრული დებულებები წარმოადგენს „საქართველოს ფოსტას“ სტანდარტულ პირობებს.
1.3. ხელშეკრულება საფოსტო მომსახურების განხორციელების შესახებ სტანდარტული პირობებით დადებულად ითვლება, მომხმარებლის მიერ საფოსტო მომსახურების საფასურის გადახდისა და „საქართველოს ფოსტას“ მიერ საფოსტო გზავნილის მიღების მომენტიდან.
1.4. „საქართველოს ფოსტას“ მიერ საფოსტო პროდუქტების მომხმარებელთან ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ამ დოკუმენტითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებით განსაზღვრულ დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინდივიდუალური ხელშეკრულების პირობებს.
1.5. „საქართველოს ფოსტა“, ამ დოკუმენტით განსაზღვრული დებულებებით მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით.

**მუხლი 2. საფოსტო გზავნილების დამისამართება და გამოყენებული ენები**

2.1. საფოსტო გზავნილი, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამგზავნისა და ადრესატის შესახებ. დასაშვებია მარტივი კატეგორიის საფოსტო გზავნილის გაგზავნა/მიღება გამგზავნის შესახებ ინფორმაციის გარეშე.
2.2. ინფორმაცია გამგზავნის შესახებ დაიტანება საფოსტო გზავნილის ზედა მარცხენა კუთხეში, ხოლო ადრესატის შესახებ - ქვედა მარჯვენა კუთხეში.
2.3. ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე, ინფორმაცია ადრესატის და გამგზავნის შესახებ დატანილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   - გამგზავნის და ადრესატის - საფოსტო ინდექსი; დასახლებული პუნქტი (ქალაქი, დაბა, სოფელი და ა.შ.) და ქუჩა; შენობის და ბინის ნომერი; გამგზავნის და ადრესატის ვინაობა; ტელეფონის ნომერი (სასურველია).

2.4. საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილზე, ინფორმაცია ადრესატის და გამგზავნის შესახებ დატანილი უნდა იყოს ლათინური ასოებით და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- გამგზავნის და ადრესატის ქვეყნის დასახელება; საფოსტო ინდექსი; დასახლებული პუნქტი (ქალაქი, დაბა, სოფელი და ა.შ.) და ქუჩა; შენობის და ბინის ნომერი; გამგზავნის და ადრესატის ვინაობა; ტელეფონის ნომერი (სასურველია).

2.5. ამ დოკუმენტით განსაზღვრული „საქართველოს ფოსტას“ ცალკეული პროდუქტები შესაძლებელია ითვალისწინებდნენ გამგზავნისა და ადრესატის შესახებ მეტი ინფორმაციის დატანის აუცილებლობას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება კონკრეტული პროდუქტისთვის დადგენილი წესები.

## მუხლი 3. საფოსტო გზავნილების და მომხმარებლის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვა

3.1. საფოსტო გზავნილები და მომხმარებლის პერსონალური მონაცემები წარმოადგენენ მომხმარებელთა საიდუმლოს და მათი დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.

3.2. „საქართველოს ფოსტა“ წერილობით ინფორმაციას კონკრეტული საფოსტო გზავნილების შესახებ გასცემს მისი გამგზავნის, ადრესატის (მათ შორის გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელი პირის), ან მათი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მომართვის საფუძველზე. საფოსტო გზავნილისა და პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გაცემა ასევე ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

წერილობითი ინფორმაცია გაიცემა „საქართველოს ფოსტის“ სატიტულო ფურცელზე, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

3.3. „საქართველოს ფოსტა“, ზეპირად (მათ შორის ტელეფონით), ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გასცემს მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნის მომენტში, კონკრეტული საფოსტო გზავნილის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას. ინფორმაცია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ პირის მიერ მოწოდებული იქნება:

- საფოსტო გზავნილის მაიდენტიფიცირებელი ნომერი, ან
- საფოსტო გზავნილის გამგზავნის და ადრესატის ვინაობა და მისამართი, ხოლო სახმელეთო ამანათის შემთხვევაში, ასევე იმ კომპანიის სახელწოდება, რომლის საშუალებითაც განახორციელა გზავნილის გამოგზავნა.

## თავი 2. ტერმინები და განმარტებები

### მუხლი 4. გამოყენებული ტერმინები

4.1.ამ რეგულაციის მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

4.1.1.**საფოსტო გზავნილი** - წერილობითი კორესპონდენცია, ამანათი, EMS და AVIA გზავნილი, რომელიც მიიღება ან/და ბარდება „საქართველოს ფოსტა"-ს საშუალებით.

4.1.2. **წერილობითი კორესპონდენცია** - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელსაც მიეკუთვნება საფოსტო ბარათი; წერილი (მათ შორის ჰიბრიდული წერილი); მცირე პაკეტი და **M** ტომარა.

4.1.3.**საფოსტო ბარათი** - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც წარმოადგენს მყარი ქაღალდის ან მუყაოსგან დამზადებულ სპეციალურ ბლანკს, განკუთვნილს წერილობითი ტექსტის განსათავსებლად და იგზავნება/ბარდება ღია სახით, კონვერტის გარეშე.

- **საფოსტო ბარათის წონა:** 20გრ-მდე.
- **საფოსტო ბარათის ზომა:** მინიმალური 90X140 მმ; მაქსიმალური - 120X235მმ;

  ✓ დაკეცილი და პერფორირებული საფოსტო ბარათები იგზავნება მხოლოდ დახურული სახით, კონვერტით.

4.1.4. **წერილი** - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც შეიცავს ქაღალდზე დატანილ ტექსტს ან/და დოკუმენტს და იგზავნება/ბარდება დახურული სახით, კონვერტით;

- **წერილის წონა:** 250გრ-მდე;
- **წერილის ზომა:** მინიმალური 90X140 მმ; მაქსიმალური - 240X340მმ; მაქსიმალური სისქე: 5მმ.

  ✓ **წერილი, რომლის ზომა ან წონა აღემატება მაქსიმალურ ზღვარს, ჩაითვლება მცირე პაკეტად.**

4.1.5.**ჰიბრიდული წერილი** - წერილის სახეობა, რომელიც მიიღება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, ხდება მისი მატერიალურ ფორმატში (ქაღალდზე) გადატანა და გამგზავნის სურვილის შესაბამისად მისი ღია(უკონვერტოთ) ან დახურული (კონვერტით) სახით ჩაბარება ადრესატისათვის.

- **ჰიბრიდული წერილის წონა:** 100 გრ-მდე;
- **ჰიბრიდული წერილის ზომა:** მინიმალური 90X140 მმ; მაქსიმალური - 240X340მმ; ფურცლის მაქსიმალური რაოდენობა: 15ცალი.

4.1.6.**მცირე პაკეტი** - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომლის შიგთავსიც შეიცავს როგორც ქაღალდზე დატანილ ბეჭდვით მასალებს, ხელნაწერებს, დოკუმენტებს და ფოტოსურათებს, ასევე ნივთებს, თუ მათი მცირე პაკეტის სტატუსით გაგზავნა/მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებს, მიმღები ქვეყნის ან „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ დადგენილ წესებს.

- **მცირე პაკეტის წონა:** 2კგ-მდე (გამონაკლისია 5კგ-მდე წონის ურღვევი წერილობითი კორესპონდენცია).
- **მცირე პაკეტის ზომა:** მინიმალური 90X140 მმ; მაქსიმალური - 240X340მმ; მაქსიმალური სისქე: 50მმ.
  - ✓ **მცირე პაკეტი, რომლის ზომა ან წონა აღემატება მაქსიმალურ ზღვარს, ჩაითვლება ამანათად.**

4.1.7. **M ტომარა** - წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც შეიცავს ერთ ადრესატზე დამისამართებულ წიგნებს, გაზეთებს, პერიოდულ გამოცემებს და სხვა მსგავს პროდუქციას.

- **M ტომარას წონა:** 30კგ-მდე.
- **M ტომარას გარშემოწერილობა** -120სმ.

4.1.8. **ამანათი**-საფოსტო გზავნილის სახეობა, რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი (საქონელი), თუ მისი გაგზავნა/მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტებს, დანიშნულების ქვეყნისა და შპს „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ დადგენილ წესებს.

- **ამანათის წონა:** 30კგ-მდე.
- **ამანათის მოცულობა:** არ უნდა აღემატებოდეს 1მ³

4.1.9. **სახმელეთო ამანათი** - ამანათის სახეობა, რომელსაც „საქართველოს ფოსტა" იღებს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და ახდენს მის ტრანსპორტირებასა და ადრესატისათვის ჩაბარებას საქართველოს ტერიტორიაზე.

- **სახმელეთო ამანათის წონა:** 30კგ-მდე.
- **სახმელეთო ამანათის მოცულობა:** არ უნდა აღემატებოდეს 1მ³

4.1.10. **ამანათი სასჯელაღსრულების დაწესებულებისათვის** - ამანათის სახეობა, რომელიც განკუთვნილია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის (ადრესატისთვის), ხოლო შიგთავსი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნივთებისგან.

- **სასჯელაღსრულების ამანათის წონა:** არ უნდა აღემატებოდეს თვეში 40კგ-ს.

4.1.11. **EMS გზავნილი** - გზავნილის სახეობა, რომელიც გულისხმობს გზავნილის მიღებას, დამუშავებას, გაგზავნას, გადაზიდვასა და ადრესატისთვის ჩაბარებას დაჩქარებულად - შესაძლო მოკლე ვადებში, ხოლო მისი შიგთავსის დაზღვევა შესაძლებელია გამგზავნის მიერ გამოცხადებული, მაგრამ არაუმეტეს შიგთავსის რეალური ღირებულებით. დაზღვევის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 000 ლარს.

- **EMS გზავნილის წონა:** <u>30კგ-მდე.</u>
- **EMS გზავნილის ზომა:** <u>დიაგონალურად არ უნდა აღემატებოდეს 150სმ-ს.</u>

4.1.12. **AVIA გზავნილი** - გზავნილის სახეობა, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო გამავალი გზავნილის საქართველოში მიღებას და მის ჩაბარებას სხვა ქვეყანაში დაჩქარებულად, შესაძლო მოკლე ვადებში, ხოლო მისი შიგთავსის დაზღვევა შესაძლებელია გამგზავნის მიერ გამოცხადებული, მაგრამ არაუმეტეს შიგთავსის რეალური ღირებულებით. დაზღვევის თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 000 ლარს.

- **AVIA გზავნილის წონა:** <u>არ უნდა აღემატებოდეს 30კგ-ს.</u>
- **AVIA გზავნილის ზომა დაიანგარიშება ფორმულით:** სიგრძე X სიგანე X სიმაღლე : 5000

4.1.13. **ელექტრონული კომერციის გზავნილი** - მცირე პაკეტი ან ამანათი, რომლის შიგთავს წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად შეძენილი ნივთი.

4.1.14. **მარტივი გზავნილი** - საფოსტო გზავნილი (<u>საფოსტო ბარათი</u>, <u>წერილი (მათ შორის ჰიბრიდული)</u> და <u>მცირე პაკეტი)</u>, რომელსაც მისი ფოსტისთვის გადაცემისას არ ენიჭება მაიდენტიფიცირებელი ნომერი, იგზავნება თანმხლებ დოკუმენტებზე მიუწერავად და ადრესატს ბარდება ხელმოწერის გარეშე.

4.1.15. **რეგისტრირებული გზავნილი** - საფოსტო გზავნილი (წერილობითი კორესპონდენცია (გარდა საფოსტო ბარათისა) და ამანათი, რომელიც ფოსტისთვის გადაცემისას რეგისტრირდება და ენიჭება მაიდენტიფიცირებელი ნომერი, იგზავნება თანმხლებ დოკუმენტებზე მიწერით და ადრესატს ბარდება ხელმოწერით.

4.1.16. **დაზღვეული (ფასგამოცხადებული) გზავნილი** - რეგისტრირებული წერილი, მცირე პაკეტი ან ამანათი, რომელიც იგზავნება შიგთავსის დაზღვევით, გამგზავნის მიერ გამოცხადებული ღირებულებით. მომხმარებლის მიერ დასახელებული ფასგამოცხადების(დაზღვევის) თანხა არ უნდა აღემატებოდეს გზავნილის შიგთავსის რეალურ ღირებულებას. ფასგამოცხადების თანხა არ შეიძლება იყოს 10 000 ლარზე მეტი.

4.1.17. **ადგილობრივი საფოსტო გზავნილი** - საფოსტო გზავნილი, რომლის გაგზავნაც და ადრესატისთვის ჩაბარებაც ხორციელდება „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

4.1.18. **საერთაშორისო საფოსტო გზავნილი** - საფოსტო გზავნილი, რომელიც „საქართველოს ფოსტა“-ს მეშვეობით იგზავნება სხვა სახელმწიფოში ან/და მიიღება სხვა სახელმწიფოდან.

4.1.19. **საერთაშორისო გამავალი გზავნილი** - საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, რომელიც „საქართველოს ფოსტა“-ს მეშვეობით იგზავნება სხვა სახელმწიფოში.

4.1.20. **საერთაშორისო შემომავალი გზავნილი** - საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, რომელიც „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიიღება სხვა სახელმწიფოდან.

4.1.21. **მომხმარებელი** - გამგზავნი და ადრესატი ერთობლივად ან ცალ-ცალკე.

4.1.22. **გამგზავნი** - პირი, ვინც აგზავნის (ან ვისი სახელითაც იგზავნება) გზავნილს, პასუხისმგებელია მის შიგთავზე და უფლებამოსილია მოითხოვოს გზავნილის მიმართ პირვანდელი დავალების შეცვლა (გზავნილის უკან დაბრუნება, გადამისამართება და ა.შ).

4.1.23. **ადრესატი** - პირი, ვისზეც დამისამართებულია საფოსტო გზავნილი, აგრეთვე ადრესატის სახელით გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, შპს „საქართველოს ფოსტა“-ს წესების შესაბამისად;

4.1.24. **ადრესატის მისამართი** - მისამართი, რომელიც დატანილია საფოსტო გზავნილზე და მიუთითებს ადგილს, სადაც უნდა ჩაბარდეს იგი ადრესატს;

4.1.25. **პირი** - ფიზიკური ან იურიდიული, აგრეთვე ნებისმიერი სამართლებრივი წარმონაქმნი.

4.1.26. **კალენდარული დღე** -დროის 24 საათიანი მონაკვეთი, 00.00 საათიდან 24.00 საათამდე.

4.1.27. **სამუშაო დღე** – კალენდარული დღის 8 საათიანი, ხოლო შაბათს - 4 საათიანი ინტერვალი, გარდა კვირისა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული უქმე დღეებისა. ამასთან, სამუშაო დღის დაწყებისა და დასრულების კონკრეტული საათები განისაზღვრება „საქართველოს ფოსტა“-ს შიდა დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებლისათვის როგორც ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე განთავსდება სერვისცენტრში - თვალსაჩინო ადგილას.

4.1.28. **ადმინისტრაციული ერთეული** - შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ, საკუთარი საქმიანობის ოპერირების მიზნით, საქართველოს ტერიტორიის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა) პირობითი დაყოფის შედეგად შექმნილი ერთეულები (რეგიონები). ამასთან, თითოეული რეგიონი შესაძლებელია აერთიანებდეს როგორც მხოლოდ ქალაქს, ასევე ქალაქსა და სხვა ტიპის დასახლებას - ერთობლივად.

4.1.29. **სპეციალური ადმინისტრაციული ერთეული** - მესტიის, სტეფანწმინდის,დუშეთის, თიანეთის, ცაგერის, ლენტეხის ადმინისტრაციული ერთეულები.

4.1.30. **SDR(სსუ)** - საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი ფულადი ერთეული (სესხის სპეციალური უფლება) - რომლის ღირებულებაც აშშ დოლარში ყოველდღიურად

განისაზღვრება ლონდონის ბირჟაზე დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსების შესაბამისად და სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

## მუხლი 5. განმარტებები

**5.1.** ამ დოკუმენტით განსაზღვრული საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარების ვადის ათვლა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დოკუმენტის კონკრეტული პუნქტით, იწყება:

ა)ადგილობრივი და საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილისათვის - გამგზავნის მიერ მისი „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის მომდევნო სამუშაო დღიდან, თუ ასეთი გადაცემა განხორციელებულია სამუშაო დღის კონკრეტულ დრომდე (რომელიც დადგენილია „საქართველოს ფოსტის“ მიერ თითოეული სერვისცენტრისთვის ინდივიდუალურად). აღნიშნული დროის შემდეგ მიღებული საფოსტო გზავნილი ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად.

ბ) საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილისათვის - მისი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან. ამასთან, „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ საფოსტო გზავნილი კონკრეტულ დღეს მიღებულად ითვლება, თუ ის მისთვის გადაცემულია ამ დღის **9.00 საათამდე.** აღნიშნული დროის შემდეგ მიღებული საფოსტო გზავნილი ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს მიღებულად.

5.2. ამ რეგულაციით გათვალისწინებული საფოსტო გზავნილის სერვისცენტრში შენახვის ვადის ათვლა დაიწყება საფოსტო გზავნილის სერვისცენტრში მიღების დღის მომდევნო დღიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დოკუმენტის კონკრეტული პუნქტით.

5.3. მოქმედება, რომლის განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, შეიძლება განხორციელდეს ამ ვადის ბოლო სამუშაო დღის დამთავრებამდე.

5.4. თუ ადრესატს არ წარმოადგენს ფიზიკური პირი, ასეთი საფოსტო გზავნილის ჩაბარების ვადის გამოთვლისას სამუშაო დღედ არ მიიჩნევა შაბათი დღე.

5.5. ამ დოკუმენტით განსაზღვრული ნებისმიერი ვადა, რომელიც დადგენილია სერვისცენტრში საფოსტო გზავნილის შენახვისათვის, გამგზავნის, გამგზავნის საფოსტო ადმინისტრაციის, ან ადრესატის ინდივიდუალური წერილობითი მომართვის საფუძველზე შესაძლებელია გაიზარდოს, მაგრამ არაუმეტეს საფოსტო გზავნილის მიღებიდან 2 (ორი) თვის ვადით.

# *კარი II . საფოსტო პროდუქტების სახეები და კატეგორიები*

## თავი 3. საფოსტო პროდუქტების სახეები და კატეგორიები

### მუხლი 6. საფოსტო პროდუქტების სახეები

6.1. საფოსტო პროდუქტები იყოფა შემდეგ სახეებად:
6.1.1. წერილობითი კორესპონდენცია;
6.1.2. ამანათი;
6.1.3. EMS გზავნილი;
6.1.4. AVIA გზავნილი.

### მუხლი 7. საფოსტო პროდუქტების კატეგორიები სახეების მიხედვით

7.1. წერილობითი კორესპონდენცია:

7.1.1. მარტივი კატეგორიის - ადგილობრივი და საერთაშორისო:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- მცირე პაკეტი;

7.1.2. რეგისტრირებული კატეგორიის -

ა) ადგილობრივი:

- წერილი (მათ შორის დაზღვეული(ფასგამოცხადებული), ჰიბრიდული, I კლასის და 12/12);
- მცირე პაკეტი (მათ შორის დაზღვეული(ფასგამოცხადებული), ჰიბრიდული, I კლასის და 12/12);
- M ტომარა.

ბ) საერთაშორისო:

- წერილი (მათ შორის დაზღვეული(ფასგამოცხადებული) და I კლასის).
- მცირე პაკეტი (მათ შორის დაზღვეული(ფასგამოცხადებული) და I კლასის).
- M ტომარა.

7.2. ამანათი:

- ადგილობრივი და საერთაშორისო რეგისტრირებული ამანათი;
- საერთაშორისო შემომავალი სახმელეთო ამანათი;
- ადგილობრივი სასჯელაღსრულების ამანათი.

7.3. საერთაშორისო EMS გზავნილი;

7.4. საერთაშორისო გამავალი AVIA გზავნილი.

# კარი III . წერილობითი კორესპონდენცია

## თავი 4. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება

### მუხლი 8. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა

8.1. „საქართველოს ფოსტა“, ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით ახორციელებს შემდეგი მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღებას:

8.1.1. სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციებიდან მიიღება შემდეგი საერთაშორისო მარტივი წერლობითი კორესპონდენცია:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- მცირე პაკეტი;
- M ტომარა.

8.1.2. „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ სხვა სახელმწიფოში გასაგზავნად მიიღება შემდეგი საერთაშორისო მარტივი წერილობითი კორესპონდენცია:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- მცირე პაკეტი;

8.1.3. „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ქვეყნის შიგნით გასაგზავნად მიიღება შემდეგი ადგილობრივი მარტივი წერილობითი კორესპონდენცია:

- საფოსტო ბარათი;
- წერილი;
- მცირე პაკეტი;

8.2. საერთაშორისო შემომავალი მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ხორციელდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრში, რის შემდეგაც ხორციელდება მათი დამუშავება და ადრესატისთვის ჩაბარება, ამ დოკუმენტით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

8.3. საერთაშორისო გამავალი, აგრეთვე ადგილობრივი მარტივი წერილობითი კორესპონდენციის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღება, შესაბამისად გამგზავნის მიერ მისი გაგზავნა ხორციელდება სერვისცენტრის, კურიერის, ხოლო საფოსტო ბარათისა და წერილის შემთხვევაში- ასევე საფოსტო ყუთის მეშვეობით.

8.4. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის გასაგზავნად გამოიყენება გაგზავნის ღირებულების შესაბამისი მარკა(მარკები). საერთაშორისო მცირე პაკეტის გაგზავნის შემთხვევაში, საფოსტო მარკის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფრანკირების მანქანის ანაბეჭდი.

8.5.მარტივი წერილობითი კორესპონდენცია გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს. თუ გზავნილის შიგთავსს მსხვრევადი ნივთი წარმოადგენს, მისი შეფუთვა ასევე უნდა შეიცავდეს სათანადო აღნიშვნას ასეთის შესახებ.

8.6. საერთაშორისო გამავალი მარტივი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნისას, გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს როგორც საქართველოდან ექსპორტის, ასევე მიმღებ ქვეყანაში იმპორტისას.

**მუხლი 9. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე**

9.1. <u>საფოსტო ბარათისა და წერილის ადრესატისათვის ჩაბარება</u>

9.1.1. საფოსტო ბარათისა და წერილის (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „მარტივი გზავნილი“) ჩაბარების მიზნით, კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს;

9.1.2. თუ ადრესატის მისამართზე განთავსებულია სააბონენტო საფოსტო ყუთი, გზავნილის ჩაბარება ხორციელდება მისი ასეთ ყუთში მოთავსების გზით;

9.1.3. თუ ადრესატის მისამართზე არ არის განთავსებული სააბონენტო საფოსტო ყუთი, კურიერი შეეცდება მარტივი გზავნილი გადასცეს შესაბამის მისამართზე მყოფ ნებისმიერ პირს, რომლის ასაკიც ვიზუალური შეფასებით აღემატება **<u>16 წელს;</u>**

9.1.4. თუ კურიერმა ვერ შეძლო მარტივი გზავნილის ადრესატის მისამართზე მყოფი პირისათვის ჩაბარება (არავინ დახვდა მისამართზე, არ გაუღეს კარი და ა.შ.) , ის მარტივ გზავნილს სპეციალური წებოვანი ლენტის გამოყენებით ამაგრებს ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე.

9.1.5. თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას, სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ან თუ მარტივი გზავნილის დატოვება მისი უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე დაუშვებელია (იხ. ქვეპუნქტი 9.1.6.), ის მარტივი გზავნილის შესახებ შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ. სადარბაზოს კარი გარედან, ადრესატის კარი, მათ შორის თუ ის მდებარეობს ქუჩის პირას ), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება;

9.1.6. მარტივი გზავნილის დატოვება არ ხდება:

- მეზობლისთვის ან სხვა გარეშე პირისთვის, თუ ეს პირი უშუალოდ ადრესატის მისამართზე (ბინაში, ოფისში) არ დახვდა კურიერს;
- ადრესატის კარზე, თუ ეს კარი მდებარეობს ქუჩის ან/და ეზოს პირას (გარდა ე.წ. იტალიური ეზოს შიგნით განთავსებული ბინებისა);
- ისეთ ადგილებში, სადაც კლიმატური პირობების ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მარტივი გზავნილის დაზიანება;

<u>9.2.მცირე პაკეტის ადრესატისათვის ჩაბარება</u>

9.2.1. მცირე პაკეტის ჩაბარების მიზნით, კურიერი შეტყობინებას - ადრესატის სახელზე მცირე პაკეტის არსებობის შესახებ ათავსებს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ხოლო ასეთი ყუთის არარსებობის შემთხვევაში, შეტყობინებას ტოვებს ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე;

9.2.2. შეტყობინება ასევე ჩაბარებულად ითვლება, თუ ის კურიერის მიერ გადაცემულია ადრესატის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომლის ასაკიც ვიზუალური შეფასებით აღემატება <u>16 წელს;</u>

9.2.3. თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას, სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ის შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ. სადარბაზოს კარი გარედან, ადრესატის კარი, მათ შორის თუ ის მდებარეობს ქუჩის პირას ), ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება;

9.2.4. თუ მცირე პაკეტის შიგთავსს ბეჭდვითი გამოცემა წარმოადგენს, მისი ჩაბარება ხორციელდება 9.1. პუნქტით განსაზღვრული წესით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი გზავნილის წონის გათვალისწინებით, ბეჭდვითი გამოცემის განთავსება შესაძლებელია ადრესატის კართან, მისი წებოვანი ლენტით კარზე მიმაგრების გარეშე.

9.2.5. თუ მარტივ მცირე პაკეტზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, 9.2.1.-9.2.3. პუნქტებით განსაზღვრული შეტყობინების დატოვების ნაცვლად შესაძლებელია განხორციელდეს მითითებულ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების გაგზავნა. SMS შეტყობინება შეიცავს მითითებას ადრესატისთვის თუ როდის და სად უნდა მოახდინოს მან მცირე პაკეტის მიღება.

<u>9.3. M ტომარას ადრესატისათვის ჩაბარება</u>

9.3.1. საერთაშორისო შემომავალი M ტომარას ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება ამ მუხლის 9.2.1.-9.2.3 და 9.2.5. ქვეპუნქტებში აღნიშნული წესის შესაბამისად.

## 9.4. SMS შეტყობინების გამოყენება მარტივი მცირე პაკეტის ჩასაბარებლად

## მუხლი 10. მარტივი წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები

### 10.1. საერთაშორისო შემომავალი და ადგილობრივი წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადები

10.1.1. საერთაშორისო შემომავალი და ადგილობრივი წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია:

- 3 (სამი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან - გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;
- 5 (ხუთი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან - სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;

### 10.2. საერთაშორისო გამავალი წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნის/შესვლის და მისი ამ ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადები

10.2.1. საქართველოდან გაგზავნილი წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ვადებია:

ა) ევროპა:

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებიდან - 4 (ოთხი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული გზავნილებისა) მიღებიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;

ბ) დანარჩენი მსოფლიო

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებიდან - 5 (ხუთი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული გზავნილებისა) მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 7 (შვიდი) სამუშაო დღე;

10.2.2. საქართველოდან გაგზავნილი წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების ვადები განისაზღვრება მიმღები ქვეყნის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ქვეყნების მიხედვით მერყეობს 2-დან 20 სამუშაო დღემდე.

**მუხლი 11. დამატებითი პირობები მარტივი წერილობითი კორესპონდენციის შესახებ**

11.1. ის მარტივი წერილობითი კორესპონდენცია, რომლის მისამართის ან/და ადრესატის მოძიება ვერ ხერხდება, ან ის მარტივი საფოსტო გზავნილები, რომლებზეც დატოვებულ იქნა შეტყობინება/ SMS შეტყობინება, ინახება სერვისცენტრში.შენახვის ვადა საფოსტო ბარათებისა და წერილებისთვის შეადგენს 15 კალენდარულ დღეს მისი მიღებიდან, ხოლო მცირე პაკეტებისა და M ტომარასთვის - 30 კალენდარულ დღეს. ამ ვადაში ადრესატს (ან მის წარმომადგენელს) უფლება აქვს გაიტანოს მარტივი საფოსტო გზავნილი სერვისცენტრიდან. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მარტივი წერილობითი კორესპონდენცია ბრუნდება უკან.

11.2. მარტივი წერილობითი კორესპონდენცია „მოკითხვამდე“ პირობით - მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში რჩება სერვისცენტრში, რის შემდეგაც ბრუნდება უკან.

11.3. მარტივ წერილობით კორესპონდენციაზე არ ხორციელდება მოძიება ელექტრონული პროგრამის საშუალებით, მასზე არ გაიცემა ინფორმაცია კომპანიის მხრიდან, არ გადამისამართდება და არ ანაზღაურდება ზარალი.

## თავი 5. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება

**მუხლი 12. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა**

12.1. „საქართველოს ფოსტა“, ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით ახორციელებს შემდეგი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღებას:

12.1.1. სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციებიდან მიიღება შემდეგი საერთაშორისო რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია:

- წერილი, მათ შორის დაზღვეული წერილი;
- მცირე პაკეტი, მათ შორის დაზღვეული მცირე პაკეტი;
- M ტომარა, მათ შორის დაზღვეული M ტომარა.

12.1.2. „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ სხვა სახელმწიფოში გასაგზავნად მიიღება შემდეგი საერთაშორისო რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია:

- წერილი, მათ შორის დაზღვეული წერილი;
- მცირე პაკეტი, მათ შორის დაზღვეული მცირე პაკეტი;

- M ტომარა.

12.1.3. „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ქვეყნის შიგნით გასაგზავნად მიიღება შემდეგი ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია:

- წერილი, მათ შორის დაზღვეული წერილი;
- ჰიბრიდული წერილი - გამგზავნსა და „საქართველოს ფოსტა“-ს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში;
- მცირე პაკეტი, მათ შორის დაზღვეული მცირე პაკეტი;
- M ტომარა.

12.2. საერთაშორისო შემომავალი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ხორციელდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრში, რის შემდეგადაც ხორციელდება მათი დამუშავება და ადრესატისთვის ჩაბარება, ამ დოკუმენტით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

12.3.საერთაშორისო გამავალი, აგრეთვე ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღება, შესაბამისად გამგზავნის მიერ მისი გაგზავნა ხორციელდება სერვისცენტრის ან კურიერის მეშვეობით.

12.4. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს. თუ გზავნილის შიგთავსს მსხვრევადი ნივთი წარმოადგენს, მისი შეფუთვა ასევე უნდა შეიცავდეს სათანადო აღნიშვნას ასეთის შესახებ. გამგზავნი ასევე ვალდებულია წერილობითი კორესპონდენციის შეფუთვაზე დაიტანოს სრული ინფორმაცია ადრესატის ვინაობისა და მისი ზუსტი მისამართის შესახებ. სასურველია გზავნილის შეფუთვა ასევე შეიცავდეს ინფორმაციას ადრესატის საკონტაქტო ტელეფონის შესახებ.

12.5. საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნისას, გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს როგორც საქართველოდან ექსპორტის, ასევე მიმღებ ქვეყანაში იმპორტისას.

## მუხლი 13. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე

<u>13.1. წერილის (მათ შორის ჰიბრიდული და დაზღვეული წერილის) ადრესატისათვის ჩაბარება</u>

13.1.1. წერილის (მათ შორის ჰიბრიდული და დაზღვეული წერილების) ჩაბარების მიზნით, კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

13.1.2.თუ წერილი დამისამართებულია ფიზიკურ პირზე და ის არ არის დაზღვეული, შეიძლება ჩაბარდეს როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე ნებისმიერ **სრულწლოვან პირს,** რომელიც დახვდება კურიერს ადრესატის მისამართზე და განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად. თუ წერილის ადრესატს 16 წლამდე არასრულწლოვანი პირი წარმოადგენს, მისი ჩაბარება ხორციელდება ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირისთვის.

13.1.3.თუ წერილი არ არის დამისამართებული ფიზიკურ პირზე და ამავე დროს არ არის დაზღვეული, მისი ჩაბარება ხორციელდება კანცელარიაში, ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულში, ან ის გადაეცემა ასეთ ორგანიზაციაში მომუშავე პირს. ამასთან, თუ წერილის ადრესატია ორგანიზაცია, რომლის მისამართადაც მითითებულია საცხოვრებელი ბინა/სახლი, ასეთ მისამართზე მცხოვრები სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული წერილი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს რომ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

13.1.4. თუ წერილი დაზღვეულია და დამისამართებულია ფიზიკურ პირზე, ის შეიძლება ჩაბარდეს **მხოლოდ უშუალოდ ადრესატს.** ხოლო ორგანიზაციაზე დამისამართებული დაზღვეული წერილის ჩაბარება ხორციელდება კანცელარიაში, ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულში. თუ გზავნილის ადრესატად ორგანიზაციის გარდა მითითებულია კონკრეტული პირი, ასეთი გზავნილის ჩაბარება შესაძლებელია მხოლოდ უშუალოდ მითითებული პირისათვის ან კანცელარიისთვის, ხოლო თუ ორგანიზაციაში არ არსებობს ასეთი სტრუქტურული ერთეული, გზავნილი გადაეცემა კანცელარიის ფუნქციის მატარებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს. თუ ორგანიზაციის მისამართად მითითებულია საცხოვრებელი ბინის/სახლის მისამართი, ხოლო ადრესატად მხოლოდ ორგანიზაციის დასახელება, ასეთ მისამართზე მცხოვრები სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული დაზღვეული წერილი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, ხოლო თუ ადრესატად ორგანიზაციის დასახელების გარდა მითითებულია კონკრეტული პირი, დაზღვეული წერილი უნდა ჩაბარდეს მხოლოდ უშუალოდ ამ კონკრეტულ პირს.

13.1.5. წერილის (მათ შორის ჰიბრიდულის და დაზღვეულის) ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ან პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი საბუთის) წარმოდგენისა და გზავნილის მიღების დასტურად მის მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ.

13.1.6.იმ შემთხვევაში, თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას, სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ან კურიერს არავინ დახვდება ადრესატის მისამართზე, ან პირი (თუ ის არ არის უშუალოდ ადრესატი) უარს განაცხადებს წერილის მიღებაზე, კურიერი დატოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს საფოსტო სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია მიაკითხოს წერილს.

13.1.7.კურიერის მიერ შეტყობინების დატოვება ხორციელდება იმ პირისათვის, რომელიც დახვდება მას ადრესატის მისამართზე (თუ მისი ასაკი ვიზუალური შეფასებით აღემატება 16 წელს). ყველა

სხვა შემთხვევაში, კურიერი შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ.ადრესატის კარი, სადარბაზოს კარი გარედან და ა.შ.) ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

13.1.8. ის წერილები, რომლებზეც დატოვებულია შეტყობინება - ინახება სერვისცენტრში, მისი მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადაში ადრესატს, მის მინდობილ პირს, ან სრულწლოვან პირს, რომელიც საკუთართან ერთად წარმოადგენს ადრესატის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან მის სხვა მაიდენტიფიცირებელ საბუთს) და წერილის კოდს, უფლება აქვს გაიტანოს წერილი სერვისცენტრიდან. ამასთან, დაზღვეული წერილის სერვისცენტრში ჩაბარების უფლება აქვს მხოლოდ ადრესატს, ან მის რწმუნებულს, სათანადო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

13.1.9. მოუკითხავი წერილი, რომელსაც გაუვა 13.1.8 პუნქტით აღნიშნული შენახვის ვადა, დაბრუნდება უკან, ხოლო ჰიბრიდული წერილი განადგურდება, კომპანიაში არსებული წესის შესაბამისად.

<u>13.2. მცირე პაკეტის (მათ შორის დაზღვეული და ელექტრონული კომერციის მცირე პაკეტის) ადრესატისთვის ჩაბარება</u>

<u>13.2.1. 500გრ-მდე წონის მცირე პაკეტის (გარდა ელექტრონული კომერციის მცირე პაკეტებისა) ადრესატისთვის ჩაბარება</u>

ა) 500გრ-მდე წონის (მათ შორის დაზღვეული) მცირე პაკეტის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება ამ დოკუმენტის 13.1. პუნქტით განსაზღვრული წერილის და დაზღვეული წერილის ჩაბარებისათვის დადგენილი წესის იდენტურად.

<u>13.2.2. 500გრ-ზე მეტი წონის მცირე პაკეტის (მათ შორის დაზღვეული და ნებისმიერი წონის ელექტრონული კომერციის მცირე პაკეტის) ადრესატისთვის ჩაბარება</u>

ა) 500გრ-ზე მეტი წონის მცირე პაკეტის (მათ შორის დაზღვეული და ნებისმიერი წონის ელექტრონული კომერციის მცირე პაკეტის) ჩაბარების მიზნით, კურიერი შეტყობინებას - ადრესატის სახელზე მცირე პაკეტის არსებობის შესახებ ათავსებს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ხოლო ასეთი ყუთის არარსებობის შემთხვევაში, შეტყობინების დატოვება ხდება ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე;

ბ) შეტყობინება ასევე ჩაბარებულად ითვლება, თუ ის კურიერის მიერ გადაცემულია ადრესატის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომლის ასაკიც ვიზუალური შეფასებით აღემატება <u>16 წელს</u>.

გ) თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ის შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ.ადრესატის კარი, სადარბაზოს კარი გარედან და ა.შ.) ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება;

დ) თუ მცირე პაკეტზე  დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, ამ პუნქტის **ა)- გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული  პროცედურების ნაცვლად**, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მითითებულ ტელეფონის ნომერზე  SMS შეტყობინების გაგზავნა. SMS შეტყობინების ტექსტი უნდა შეიცავდეს  ადრესატისთვის ინფორმაციას თუ  როდის და სად შეუძლია მას მცირე პაკეტის მიღება.

ე) მცირე პაკეტის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება შეტყობინებაში მითითებულ სერვისცენტრში, ასეთი გზავნილის „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადაში  ადრესატს,  მის მინდობილ პირს, ან სრულწლოვან პირს, რომელიც საკუთართან ერთად წარმოადგენს ადრესატის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან მის სხვა მაიდენტიფიცირებელ საბუთს) და მცირე პაკეტის კოდს,  უფლება აქვს გაიტანოს მცირე პაკეტი სერვისცენტრიდან. ამასთან, დაზღვეული მცირე პაკეტის  ჩაბარების უფლება აქვს მხოლოდ ადრესატს, ან მის რწმუნებულს, სათანადო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

ვ)  მოუკითხავი მცირე პაკეტი, რომელსაც გაუვა ამ პუნქტის ე) ქვეპუნქტით აღნიშნული შენახვის ვადა დაბრუნდება უკან, ხოლო ელექტრონული კომერციის მცირე პაკეტი გადაეცემა სახელმწიფოს.

## 13.3. M ტომარას ადრესატისათვის ჩაბარება

13.3.1.M ტომარას ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით, კურიერი  შეტყობინებას  - ადრესატის სახელზე M ტომარას არსებობის შესახებ  ათავსებს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ხოლო ასეთი ყუთის არარსებობის შემთხვევაში, შეტყობინების დატოვება ხდება ადრესატის კარზე,  ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე;

13.3.2. შეტყობინება ასევე ჩაბარებულად ითვლება, თუ ის კურიერის მიერ გადაცემულია ადრესატის მისამართზე მყოფი ნებისმიერი  პირისთვის, რომლის ასაკიც ვიზუალური შეფასებით აღემატება 16 წელს.

13.3.3. თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას  სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ის შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ.ადრესატის კარი, სადარბაზოს კარი გარედან და ა.შ.) ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია  შეტყობინების მისთვის დატოვება;

13.3.4.თუ  M ტომარაზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, ამ პუნქტის13.3.1.-13.3.3. ქვეპუნქტებით განსაზღვრული  პროცედურების ნაცვლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მითითებულ ტელეფონის ნომერზე  SMS შეტყობინების გაგზავნა. SMS შეტყობინების ტექსტი უნდა შეიცავდეს  ადრესატისთვის ინფორმაციას თუ  როდის და სად შეუძლია მას M ტომარას მიღება.

13.3.5. M ტომარას ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება შეტყობინებაში მითითებულ სერვისცენტრში, ასეთი გზავნილის „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ მიღებიდან 30 (ოცდაათი)

კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადაში ადრესატს, მის მინდობილ პირს, ან სრულწლოვან პირს, რომელიც საკუთართან ერთად წარმოადგენს ადრესატის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან მის სხვა მაიდენტიფიცირებელ საბუთს) და M ტომარას კოდს, უფლება აქვს გაიტანოს M ტომარა სერვისცენტრიდან. ამასთან, დაზღვეული M ტომარას ჩაბარების უფლება აქვს მხოლოდ ადრესატს, ან მის რწმუნებულს, სათანადო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

13.3.6.მოუკითხავი M ტომარა, რომელსაც გაუვა ამ პუნქტის 13.3.5. ქვეპუნქტით აღნიშნული შენახვის ვადა, დაბრუნდება უკან.

## მუხლი 14. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები

14.1. <u>საერთაშორისო შემომავალი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადები:</u>

14.1.1. საერთაშორისო (შემომავალი) რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია:

- **<u>3 (სამი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u>** - გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;
- **<u>5 (ხუთი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u>** - სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;

<u>14.2. ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადები:</u>

14.2.1.ადგილობრივი წერილები (მათ შორის ჰიბრიდული და დაზღვეული წერილები) და მცირე პაკეტები, მისი ჩაბარების ვადის სისწრაფის მიხედვით იყოფა **I კლასის** და **12/12** წერილებად და მცირე პაკეტებად.

ა) I კლასის წერილი და მცირე პაკეტი გულისხმობს წერილისა (მათ შორის ჰიბრიდული და დაზღვეული წერილი) და მცირე პაკეტის ადრესატისათვის ჩაბარებას (შეტყობინების დატოვების) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შემდეგ ვადებში:

- <u>3 (სამი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;
- <u>5 (ხუთი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;

ბ) 12/12 წერილი და მცირე პაკეტი გულისხმობს წერილისა (მათ შორის ჰიბრიდული და დაზღვეული წერილი) და მცირე პაკეტის (მათ შორის დაზღვეული მცირე პაკეტი)

ადრესატისათვის ჩაბარებას ერთი და იგივე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, შემდეგ ვადებში:

- არაუგვიანეს იმავე დღისა, თუ 12/12 გზავნილი მიღებულია სამუშაო დღის **12.00 საათამდე;**
- არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღის 12.00 საათამდე - თუ გზავნილი მიღებულია წინა სამუშაო დღის **12.00 საათის შემდეგ.**

<u>შენიშვნა:</u> 12/12 -ზე წერილისა და მცირე პაკეტის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ერთჯერადი ვიზიტის განხორციელების გზით, ამ დოკუმენტის 13.1.2-13.1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამასთან თუ კურიერი ვერ მოახერხებს გზავნილის ჩაბარებას (ვერ შევა შენობაში, სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ან კურიერს არავინ დახვდება ადრესატის მისამართზე, ან პირი უარს განაცხადებს გზავნილის მიღებაზე), 12/12 -ზე გზავნილი დაუყოვნებლივ დაბრუნდება უკან - გამომგზავნთან.

14.2.2. ადგილობრივი M ტომარას ადრესატისათვის ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია:

- <u>3 (სამი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;
- <u>**5 (ხუთი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან**</u> - სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;

<u>**14.3. საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნის/შესვლის და მისი ამ ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადები**</u>

14.3.1.საქართველოდან გაგზავნილი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ვადებია:

<u>ა) ევროპა:</u>

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებიდან - 4 (ოთხი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული გზავნილებისა) მიღებიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;

<u>ბ) დანარჩენი მსოფლიო</u>

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებიდან - 5 (ხუთი)სამუშაო დღე;

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული გზავნილებისა) მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 7 (შვიდი) სამუშაო დღე;

14.3.2.საქართველოდან გაგზავნილი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების ვადები განისაზღვრება მიმღები ქვეყნის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ქვეყნების მიხედვით მერყეობს 2-დან 20 სამუშაო დღემდე.

14.3.3. საქართველოდან გაგზავნილი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის დანიშნულების ქვეყანაში ჩაუბარებლობის შემთხვევაში, იგი ბრუნდება უკან გამომგზავნთან, დანიშნულების ქვეყნის მიერ დადგენილი ვადებში და წესით.

**მუხლი 15. დამატებითი პირობები რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ**

15.1. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია „მოკითხვამდე“ პირობით - მისი მიღებიდან 30 დღის განმავლობაში რჩება სერვისცენტრში, რის შემდეგაც ბრუნდება უკან. „მოკითხვამდე“ პირობით რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისათვის არ ხორციელდება შეტყობინების (მათ შორის SMS შეტყობინების) დატოვება.

15.2. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის მოძრაობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება მომხმარებელს შეუძლია როგორც თავად, (კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით), ასევე „საქართველოს ფოსტა“-სთვის მომართვის საფუძველზე. მომხმარებელს ასევე საშუალება აქვს სურვილის შემთხვევაში მოახდინოს საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის გადამისამართება (მხოლოდ გაგზავნილი ქვეყნის ფარგლებში და თუ ასეთი სერვისი გააჩნია ასეთი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას), ხოლო მისი „საქართველოს ფოსტა“-ს მიზეზით დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, დადგენილი წესითა და ოდენობით აინაზღაუროს ზარალი.

## თავი 6. წერილობითი კორესპონდენციის დამატებითი სერვისები

**მუხლი 16. ორჯერადი ვიზიტი**

16.1. დამატებითი სერვისი - „ ორჯერადი ვიზიტის“ არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი წერილის (მათ შორის ჰიბრიდული და დაზღვეული წერილების) და 500გრ-მდე წონის მცირე პაკეტების (გარდა ელექტრონული კომერციის მცირე პაკეტების) ადრესატისთვის გაგზავნისას.

16.2. დამატებითი სერვისი - „ ორჯერადი ვიზიტი“ გულისხმობს გზავნილის ჩაბარების მიზნით კურიერის მიერ ადრესატის მისამართზე ვიზიტის განხორციელებას ორჯერ, ნაცვლად სტანდარტული ერთჯერადი ვიზიტისა.

16.3.თუ კურიერი, პირველი ვიზიტის განხორციელებისას ვერ შეძლებს წერილობითი კორესპონდენციის ჩაბარებას, ის ადრესატის მისამართზე დატოვებს შეტყობინებას, რომელზეც მითითებული იქნება ის სერვისცენტრი, სადაც ადრესატს მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში შუძლია მიაკითხოს და ჩაიბაროს გზავნილი. თუ ადრესატი არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით, კურიერი ადრესატის მისამართზე განმეორებით ვიზიტს განახორციელებს პირველი ვიზიტის განხორციელებიდან **მესამე სამუშაო დღეს.** მეორე ვიზიტის კვლავ უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, გზავნილი ადრესატისთვის გადაცემის მიზნით შეინახება სერვისცენტრში, შესაბამისი სახეობის წერილობითი კორესპონდენციის შენახვისათვის დადგენილი ვადით. თუ აღნიშნულ ვადაში ადრესატი არ გამოცხადდება სერვისცენტრში და/ან არ ჩაიბარებს წერილობით კორესპონდენციას, ის უკან დაუბრუნდება გამომგზავნს.

<u>მუხლი 17. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება</u>

17.1. დამატებითი სერვისი „პირადად ადრესატისათვის ჩაბარება“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნის შემთხვევაში.

17.2. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება გულისხმობს წერილობითი კორესპონდენციის მხოლოდ იმ პირისთვის ჩაბარებას, ვისზეც დამისამართებულია გზავნილი. გზავნილი ასევე შეიძლება ჩაბარდეს ნებისმიერ სხვა პირს, თუ ის წარმოადგენს წერილობით მინდობილობას გაცემულს ადრესატის მიერ, სადაც გამოხატული იქნება ადრესატის ნება ასეთი გზავნილის მინდობილობაში აღნიშნული პირისთვის ჩაბარების შესახებ.

<u>მუხლი 18. მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება</u>

18.1. დამატებითი სერვისი „მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“-ს არჩევის უფლება აქვს როგორც გამგზავნს, ისევე ადრესატს, როგორც მარტივი, ასევე რეგისტრირებული ადგილობრივი მცირე პაკეტის გაგზავნის/მიღების შემთხვევაში, აგრეთვე ამავე კატეგორიების საერთაშორისო შემომავალი მცირე პაკეტების მიღების შემთხვევაში.

18.2. „მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას ისარგებლოს აღნიშნული სერვისით ადგილობრივი მცირე პაკეტის გაგზავნისას, მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდის გზით, ან/და ადრესატის შესაძლებლობას - შეუკვეთოს ეს მომსახურება „საქართველოს ფოსტა“-ს ტელეფონით, ხოლო გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა განახორციელოს მცირე პაკეტის მითითებულ მისამართზე მიღების დროს.

18.3. კურიერის მიერ მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება **<u>პირობით „სტანდარტული“</u>** ხორციელდება „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მცირე პაკეტის მიღებიდან არაუგვიანეს **2(ორი)**

სამუშაო დღისა, ხოლო თუ შეკვეთის შედეგად განხორციელდება ადრესატის პირველადი მისამართის ცვლილება, ასეთი შეკვეთის განხორციელებიდან **2(ორი)** სამუშაო დღისა.

18.4. კურიერის მიერ მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება **პირობით „სასწრაფო“** ხორციელდება მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, მიღებიდან **მეორე** სამუშაო დღეს.

18.5. მცირე პაკეტის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება ამ დოკუმენტის 13.1. პუნქტით განსაზღვრული წესით. ადრესატი, რომელიც შეუკვეთავს დამატებით მომსახურებას - „მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“, მაგრამ ვერ მიიღებს ასეთ მომსახურებას „საქართველოს ფოსტა“-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (არ დახვდა მისამართზე, არასწორად მიუთითა მისამართი და ა.შ.), ვალდებული იქნება მცირე პაკეტის სერვისცენტრიდან გატანამდე გადაიხადოს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ გაწეული დამატებითი მომსახურების საფასური.

18.6.„საქართველოს ფოსტა“ არ ახორციელებს მცირე პაკეტის ადრესატის მისამართზე ჩაბარების სერვისს, თუ სერვისცენტრში მცირე პაკეტი მიღებულია დაზიანებით, ის გახსნილია შემოსავლების სამსახურის მიერ, ან მცირე პაკეტის შიგთავსი ექვემდებარება სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას.

## მუხლი 19. გზავნილი - ჩაბარების დასტურით

19.1. დამატებითი სერვისი „გზავნილი-ჩაბარების დასტურით“ არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნის შემთხვევაში.

19.2. გზავნილი - ჩაბარების დასტურით გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნისას მოითხოვოს მისი ჩაბარების/ჩაუბარებლობის შესახებ ინფორმაციის უკან მიღება.

19.3.ჩაბარების დასტურის გამგზავნისთვის ჩაბარება ხორციელდება იმავე ვადებში, რა ვადებიც დადგენილია იმ წერილობითი კორესპონდენციის ჩაბარებისთვის, რომელზეც მოთხოვნილია ჩაბარების დასტური.

19.4. ჩაბარების დასტურის გამგზავნისთვის ჩაბარება ხორციელდება I კლასის წერილისთვის დადგენილი წესით.

19.5. იმ შემთხვევაში, თუ „საქართველოს ფოსტა“-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხდა ჩაბარების დასტურის გამგზავნისთვის გადაცემა, ჩაბარების დასტური გამგზავნის მისამართზე უშედეგო ვიზიტის განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადით შეინახება სერვისცენტრში გამგზავნის მისამართის მიხედვით, სადაც ამ უკანასკნელს საშუალება ექნება მიიღოს ის სერვისცენტრში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ჩაბარების დასტური გადაეცემა „საქართველოს ფოსტა“-ს შესაბამის სამსახურს, დადგენილი ვადით დაარქივებისა და ამ ვადის გასვლის შემდეგ მისი განადგურებისათვის.

**მუხლი 20. წერილობითი კორესპონდენციის არასამუშაო საათებში მიღება**

20.1.დამატებითი სერვისი „წერილობითი კორესპონდენციის არასამუშაო საათებში მიღება“-ს არჩევის უფლება აქვს მხოლოდ „საქართველოს ფოსტა“-ს იმ მომხმარებლებს, რომლებთანაც დადებულია ხელშეკრულება - შესაბამისი პირობით.

20.2. „წერილობითი კორესპონდენციის არასამუშაო საათებში მიღება“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას გადასცეს „საქართველოს ფოსტა“-ს წერილობითი კორესპონდენცია სამუშაო დღეებში (გარდა შაბათისა) **17.00-დან 19.00** საათამდე პერიოდში. არასამუშაო საათებში მიღებული წერილობითი კორესპონდენციის ჩაბარების ვადის ათვლა იწყება მომდევნო სამუშაო დღიდან.

20.3. წერილობითი კორესპონდენციის არასამუშაო საათებში მიღება ხორციელდება მომხმარებლის მისამართზე, მხოლოდ ქ. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში.

**მუხლი 21. სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა**

21.1. დამატებითი სერვისი „სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარა“-ს არჩევის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს მარტივი კატეგორიის საფოსტო ბარათის, წერილისა ან/და მცირე პაკეტის ასეთი ყუთის საშუალებით მიღება.

21.2. სააბონენტო საფოსტო ყუთის იჯარით აღება შესაძლებელია „საქართველოს ფოსტასთან“ ხელშეკრულების გაფორმების გზით.

**მუხლი 22. ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ**

22.1. დამატებითი სერვისი „ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ“ არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, ადრესატს, წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მათ კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე წერილობითი კორესპონდენციის უშუალოდ ჩამბარებელ პირს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნის/მიღების შემთხვევაში.

22.2.ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ გულისხმობს მომხმარებლის (გამგზავნის/ადრესატის, წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მათი კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე წერილობითი კორესპონდენციის უშუალოდ ჩამბარებელი პირის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის ამავე ფორმით ინფორმაციის მიწოდებას გაგზავნილი/ჩაბარებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ.

22.3. განცხადებას ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ თან უნდა ახლდეს: ინფორმაციის მომთხოვნი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი, ხოლო თუ ინფორმაციის მომთხოვნი პირი არ არის გამგზავნი, მიმღები ან გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელი პირი, აგრეთვე სათანადო წესით შედგენილი რწმუნებულება.

22.4.ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ მომართვის დღემდე განვლილ 1 (ერთ) წლიან პერიოდზე. თუ მოთხოვნილია ინფორმაცია, რომელიც შეეხება უფრო ხანგრძლივ პერიოდს, კომპანიას უფლება აქვს გასცეს ამგვარი ინფორმაცია, თუ დაცული მონაცემები იძლევა ამის საშუალებას.

22.5. მომხმარებელს საშუალება აქვს ერთი განცხადებით მოითხოვოს ინფორმაცია 5 (ხუთ) გზავნილზე, ან ინფორმაციის მოძიება ერთ თვიან პერიოდზე თუ მომხმარებელი ფიზიკური პირია და 15 დღიან პერიოდზე - თუ მომხმარებელი იურიდიული პირია.

22.6. ინფორმაციის გაცემა ხორციელდება კომპანიის მიერ შესაბამისი განცხადების მიღების დღის მომდევნო დღიდან 7(შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც ის ეგზავნება მომართვის ავტორს, ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული გზით (მითითებულ მისამართზე - I კლასის ან 12/12 წერილის სახით, ან გაიცემა სერვის ცენტრში).

მუხლი 23. ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა

23.1. დამატებითი სერვისი - „ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნის შემთხვევაში.

23.2.„ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას დადგენილი ტარიფის გადახდის საფუძველზე უარი თქვას „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადმოცემული წერილობითი კორესპონდენციის შემდგომ გაგზავნაზე, მისი „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადაცემის დღის 17.00 საათამდე.

## *კარი IV . ამანათი*

### თავი 7. რეგისტრირებული ამანათის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება

**მუხლი 24. რეგისტრირებული ამანათის მიღება/გაგზავნა**

24.1. „საქართველოს ფოსტა“, ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით ახორციელებს შემდეგი რეგისტრირებული ამანათის მიღებას:

24.1.1.სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციებიდან მიიღება რეგისტრირებული, მათ შორის დაზღვეული ამანათი;

24.1.2. „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ სხვა სახელმწიფოში გასაგზავნად მომხმარებლისგან მიიღება საერთაშორისო რეგისტრირებული, მათ შორის დაზღვეული ამანათი;

24.1.3. „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მომხმარებლისგან ქვეყნის შიგნით გასაგზავნად მიიღება ადგილობრივი რეგისტრირებული, მათ შორის დაზღვეული ამანათი.

24.2. საერთაშორისო შემომავალი რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული)ამანათის მიღებას ახორციელებს „საქართველოს ფოსტა“-ს საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრი, რის შემდეგაც ხორციელდება მათი დამუშავება და ადრესატისთვის ჩაბარება, ამ დოკუმენტით განსაზღვრულ ვადებსა და წესით.

24.3. რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ადგილობრივი და საერთაშორისო გამავალი, ამანათის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღება (შესაბამისად გამგზავნის მიერ მისი გაგზავნა), ხორციელდება სერვისცენტრის ან კურიერის მეშვეობით.

24.4. ამანათი გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს. თუ გზავნილის შიგთავსს მსხვრევადი ნივთი წარმოადგენს, მისი შეფუთვა ასევე უნდა შეიცავდეს სათანადო აღნიშვნას ასეთის შესახებ. გამგზავნი ასევე ვალდებულია ამანათის შეფუთვაზე დაიტანოს სრული ინფორმაცია ადრესატის ვინაობისა და მისი ზუსტი მისამართის შესახებ. სასურველია გზავნილის შეფუთვა ასევე შეიცავდეს ინფორმაციას ადრესატის საკონტაქტო ტელეფონის შესახებ.

24.5.საერთაშორისო ამანათის გაგზავნისას, გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს როგორც საქართველოდან ექსპორტის, ასევე მიმღებ ქვეყანაში იმპორტისას.

**მუხლი 25. რეგისტრირებული ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე**

25.1. ამანათის ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით, კურიერი შეტყობინებას - ადრესატის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ ათავსებს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ხოლო ასეთი

ყუთის არარსებობის შემთხვევაში, შეტყობინების დატოვება ხდება ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე;

25.2. შეტყობინება ასევე ჩაბარებულად ითვლება, თუ ის კურიერის მიერ გადაცემულია ადრესატის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომლის ასაკიც ვიზუალური შეფასებით აღემატება 16 წელს.

25.3. თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ის შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ.ადრესატის კარი, სადარბაზოს კარი გარედან და ა.შ.) ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება;

25.4. თუ ამანათზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, ამ მუხლის 25.1.-25.3. პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების ნაცვლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მითითებულ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების გაგზავნა. SMS შეტყობინების ტექსტი უნდა შეიცავდეს ადრესატისთვის ინფორმაციას თუ როდის და სად შეუძლია მას ამანათის მიღება.

25.5. ამანათის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება შეტყობინებაში მითითებულ სერვისცენტრში, ასეთი გზავნილის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადაში ადრესატს, მის მინდობილ პირს, ან სრულწლოვან პირს, რომელიც საკუთართან ერთად წარმოადგენს ადრესატის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან მის სხვა მაიდენტიფიცირებელ საბუთს) და ამანათის კოდს, უფლება აქვს გაიტანოს ამანათი სერვისცენტრიდან. ამასთან, დაზღვეული ამანათის ჩაბარების უფლება აქვს მხოლოდ ადრესატს, ან მის რწმუნებულს, სათანადო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

25.6.მოუკითხავი ამანათი, რომელსაც გაუვა ამ მუხლის 25.5. პუნქტით აღნიშნული შენახვის ვადა, დაბრუნდება უკან.

**მუხლი 26. რეგისტრირებული ამანათის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები**

**26.1. <u>რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი ამანათის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადები:</u>**

26.1.1. რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი ამანათის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია:

- <u>3 (სამი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისათვის;
- <u>5 (ხუთი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისათვის.

**<u>26.2. რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საერთაშორისო გამავალი ამანათის დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნის/შესვლის და მისი ამ ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადები</u>**

26.2.1.საქართველოდან გაგზავნილი რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ვადებია:

<u>ა) ევროპა:</u>

- „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ რეგისტრირებული ამანათის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებიდან - 4 (ოთხი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ რეგისტრირებული ამანათის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული გზავნილებისა) მიღებიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ რეგისტრირებული ამანათის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;

<u>ბ) დანარჩენი მსოფლიო</u>

- „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ რეგისტრირებული ამანათის ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებიდან - 5 (ხუთი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ რეგისტრირებული ამანათის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულებში მიღებული გზავნილებისა) მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ რეგისტრირებული ამანათის სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულებში მიღებიდან - 7 (შვიდი) სამუშაო დღე;

26.2.2. საქართველოდან გაგზავნილი ამანათის დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების ვადები განისაზღვრება მიმღები ქვეყნის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ქვეყნების მიხედვით მერყეობს 2-დან 20 სამუშაო დღემდე.

26.2.3.საქართველოდან გაგზავნილი რეგისტრირებული ამანათის დანიშნულების ქვეყანაში ჩაუბარებლობის შემთხვევაში, იგი ბრუნდება უკან გამომგზავნთან, დანიშნულების ქვეყნის მიერ დადგენილ ვადებში დაწესით.

**მუხლი 27. დამატებითი პირობები რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათისთვის**

27.1. რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათი „მოკითხვამდე" პირობით - მისი მიღებიდან 30 დღის განმავლობაში რჩება სერვისცენტრში, რის შემდეგაც ბრუნდება უკან. „მოკითხვამდე" პირობით ამანათის ადრესატისათვის არ ხორციელდება შეტყობინების (მათ შორის SMS შეტყობინების) დატოვება.

27.2. რეგისტრირებული ამანათის მოძრაობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება მომხმარებელს შეუძლია როგორც თავად, (კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით), ასევე „საქართველოს

ფოსტა“-სთვის მომართვის საფუძველზე. მომხმარებელს ასევე საშუალება აქვს სურვილის შემთხვევაში მოახდინოს საერთაშორისო გამავალი რეგისტრირებული ამანათის გადამისამართება (მხოლოდ გაგზავნილი ქვეყნის ფარგლებში და თუ ასეთი სერვისი გააჩნია ასეთი ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას) , ხოლო მისი „საქართველოს ფოსტა“-ს მიზეზით დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, დადგენილი წესითა და ოდენობით აინაზღაუროს ზარალი.

## თავი 8. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მიღება და ჩაბარება

### მუხლი 28. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მიღება

28.1. „საქართველოს ფოსტა“, საერთაშორისო სახმელეთო ამანათების მიღებას ახორციელებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებასა და ადრესატისათვის ჩაბარებას საქართველოში.

28.2. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სახმელეთო ამანათის მიღების პროცედურა განისაზღვრება იმ კომპანიების რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც ახორციელებენ ასეთი ამანათების მიღებას მომხმარებლისაგან და მათ გადმოცემას „საქართველოს ფოსტასთვის“.

28.3. სახმელეთო ამანათი გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს. თუ გზავნილის შიგთავსს მსხვრევადი ნივთი წარმოადგენს, მისი შეფუთვა ასევე უნდა შეიცავდეს სათანადო აღნიშვნას ასეთის შესახებ. გამგზავნი ასევე ვალდებულია ამანათის შეფუთვაზე დაიტანოს სრული ინფორმაცია ადრესატის ვინაობისა და მისი ზუსტი მისამართის შესახებ. სასურველია გზავნილის შეფუთვა ასევე შეიცავდეს ინფორმაციას ადრესატის საკონტაქტო ტელეფონის შესახებ.

28.4. სახმელეთო ამანათის გაგზავნისას, გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს საქართველოში იმპორტისას.

28.5. „საქართველოს ფოსტა“-ს უფლება აქვს დაადგინოს დამატებითი პროცედურები ან/და შეზღუდვები სახმელეთო ამანათის, მათ შორის მისი შიგთავსის მიმართ.

### მუხლი 29. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე

29.1. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით, კურიერი შეტყობინებას - ადრესატის სახელზე ამანათის არსებობის შესახებ ათავსებს ადრესატის სააბონენტო საფოსტო ყუთში, ხოლო ასეთი ყუთის არარსებობის შემთხვევაში, შეტყობინების დატოვება ხდება ადრესატის კარზე, ან მის მიმდებარედ გამოსაჩენ ადგილზე;

29.2. შეტყობინება ასევე ჩაბარებულად ითვლება, თუ ის კურიერის მიერ გადაცემულია ადრესატის მისამართზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომლის ასაკიც ვიზუალური შეფასებით აღემატება 16 წელს.

29.3. თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ის შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ.ადრესატის კარი, სადარბაზოს კარი გარედან და ა.შ.) ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება;

29.4. თუ სახმელეთო ამანათზე დატანილია ადრესატის ტელეფონის ნომერი, ამ მუხლის 29.1.-29.3. პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების ნაცვლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მითითებულ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების გაგზავნა. SMS შეტყობინების ტექსტი უნდა შეიცავდეს ადრესატისთვის ინფორმაციას თუ როდის და სად შეუძლია მას სახმელეთო ამანათის მიღება.

29.5. სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება შეტყობინებაში მითითებულ სერვისცენტრში, ასეთი გზავნილის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადაში ადრესატს, მის მინდობილ პირს, ან სრულწლოვან პირს, რომელიც საკუთართან ერთად წარმოადგენს ადრესატის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან მის სხვა მაიდენტიფიცირებელ საბუთს) და სახმელეთო ამანათის კოდს, უფლება აქვს გაიტანოს ამანათი სერვისცენტრიდან.

29.6.მოუკითხავი ამანათი, რომელსაც გაუვა ამ მუხლის 29.5. პუნქტით აღნიშნული სერვისცენტრში შენახვის ვადა, შეინახება „საქართველოს ფოსტას“ მიერ დამატებით 50 (ორმოცდაათი) დღის ვადით, რის შემდეგაც გადაეცემა სახელმწიფოს.

**მუხლი 30. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მიღება/ტრანსპორტირების და ჩაბარების ვადები**

30.1. <u>საერთაშორისო სახმელეთო ამანათის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ვადები:</u>

30.1.1. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ვადებია:

- რუსეთი - 4 (ოთხი) კალენდარული დღე;
- თურქეთი - 4 (ოთხი) კალენდარული დღე;
- საბერძნეთი - 6 (ექვსი)კალენდარული დღე;
- იტალია - 7 (შვიდი)კალენდარული დღე;

30.2. <u>საერთაშორისო სახმელეთო ამანათის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადები:</u>

30.2.1. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია:

- 3 (სამი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან - გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის;
- 5 (ხუთი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან - სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში მიღებული ან ამ ერთეულებში ჩასაბარებელი გზავნილებისთვის.

**მუხლი 31. დამატებითი პირობები საერთაშორისო სახმელეთო ამანათისთვის**

31.1. საერთაშორისო სახმელეთო ამანათის მოძრაობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება მომხმარებელს შეუძლია როგორც თავად, (კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით), ასევე „საქართველოს ფოსტა"-სთვის მომართვის საფუძველზე. მომხმარებელს ასევე უფლება აქვს „საქართველოს ფოსტის" მიზეზით სახმელეთო ამანათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, დადგენილი წესითა და ოდენობით აინაზღაუროს ზარალი.

## თავი 9. სასჯელაღსრულების ამანათის მიღება და ჩაბარება

**მუხლი 32. სასჯელაღსრულების ამანათის მიღება**

32.1. „საქართველოს ფოსტა", ახორციელებს ამანათის მიღებას, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით.

32.2. სასჯელაღსრულების ამანათის „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ მიღება (შესაბამისად გამგზავნის მიერ მისი გაგზავნა), ხორციელდება სერვისცენტრის მეშვეობით.

32.3. სასჯელაღსრულების ამანათი გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს.

32.4. სასჯელაღსრულების ამანათის გაგზავნისას, გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 33. სასჯელაღსრულების ამანათის ჩაბარება**

33.1. „საქართველოს ფოსტა"-ს მიერ ამანათი ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი გადაეცემა მითითებული სასჯელაღსრულების დაწესებულების ამანათის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

33.2. თუ სასჯელაღსრულების დაწესებულება უარს იტყვის ამანათის ჩაბარებაზე, იგი უკან ბრუნდება „საქართველოს ფოსტა"–ს სერვისცენტრში, რის შემდეგაც გამგზავნი 30 (ოცდაათი)

დღის ვადაში უფლებამოსილია დაიბრუნოს იგი. აღნიშნულ ვადაში გამგზავნის გამოუცხადებლობის, ან ამანათის უკან მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ის გადაეცემა სახელმწიფოს.

33.3.„საქართველოს ფოსტა“ არ იღებს პასუხისმგებლობას სასჯელაღსრულების დაწესებულებისთვის ჩაბარებული ამანათის ამავე დაწესებულებაში მოთავსებული ადრესატისათვის გადაცემაზე, აგრეთვე მისთვის ამანათის დანაკლისით ან დაზიანებით ჩაბარებაზე.

**მუხლი 34. სასჯელაღსრულების ამანათის ჩაბარების ვადები**

34.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩასაბარებელი ამანათის „საქართველოს ფოსტა“–ს სერვისცენტრში მიღების შემდეგ, მისი გადაგზავნა მითითებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კონკრეტული ადრესატისათვის გადაცემის მიზნით ხორციელდება არაუგვიანეს ამანათის სერვისცენტრში მიღებიდან **3 (სამი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

## თავი 10. ამანათის დამატებითი სერვისები

**მუხლი 35. ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება**

35.1. დამატებითი სერვისი „ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“-ს არჩევის უფლება აქვს როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს, თუ ამანათის წონა არ აღემატება 10კგ-ს, შემდეგი კატეგორიის ამანათების მიმართ:

- ადგილობრივი რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათი;
- საერთაშორისო შემომავალი რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათი;
- საერთაშორისო სახმელეთო ამანათი.

35.2. „ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას ისარგებლოს აღნიშნული სერვისით ადგილობრივი ამანათის გაგზავნისას, მომსახურების ღირებულების წინასწარი გადახდის გზით, ან/და ადრესატის შესაძლებლობას - შეუკვეთოს ეს მომსახურება „საქართველოს ფოსტა“-ს ტელეფონით, ხოლო გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა განახორციელოს ამანათის მითითებულ მისამართზე მიღების დროს.

35.3. კურიერის მიერ ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება **პირობით „სტანდარტული“** ხორციელდება „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო თუ შეკვეთის შედეგად განხორციელდება ადრესატის პირველადი მისამართის ცვლილება, ასეთი შეკვეთის განხორციელებიდან 2(ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

35.4. კურიერის მიერ ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება **პირობით „სასწრაფო“** ხორციელდება მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს.

35.5. ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება ამ დოკუმენტის 13.1.1-13.1.7 ქვეპუნქტებით განსაზღვრული წერილის ჩაბარებისათვის დადგენილი წესით. ადრესატი, რომელიც შეუკვეთავს დამატებით მომსახურებას - „ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება“, მაგრამ ვერ მიიღებს ასეთ მომსახურებას „საქართველოს ფოსტა“-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (არ დახვდა მისამართზე, არასწორად მიუთითა მისამართი და ა.შ.), ვალდებული იქნება ამანათის სერვისცენტრიდან გატანამდე გადაიხადოს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ გაწეული დამატებითი მომსახურების საფასური.

35.6.„საქართველოს ფოსტა“ არ ახორციელებს ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარების სერვისს, თუ სერვისცენტრში ამანათი მიღებულია დაზიანებით, ის გახსნილია შემოსავლების სამსახურის მიერ, ან ამანათის შიგთავსი ექვემდებარება სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას.

**მუხლი 36. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება**

36.1. დამატებითი სერვისი „პირადად ადრესატისათვის ჩაბარება“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო შემომავალი ამანათის შემთხვევაში.

36.2. პირადად ადრესატისთვის ჩაბარება გულისხმობს ამანათის მხოლოდ იმ პირისთვის ჩაბარებას, ვისზეც დამისამართებულია გზავნილი. გზავნილი ასევე შეიძლება ჩაბარდეს ნებისმიერ სხვა პირს, თუ ის წარმოადგენს წერილობით მინდობილობას გაცემულს ადრესატის მიერ, სადაც გამოხატული იქნება ადრესატის ნება ასეთი ამანათის მინდობილობაში აღნიშნული პირისთვის ჩაბარების შესახებ.

**მუხლი 37. ამანათი - ჩაბარების დასტურით**

37.1. დამატებითი სერვისი „ამანათი-ჩაბარების დასტურით“ არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი ამანათის გაგზავნის შემთხვევაში.

37.2. ამანათი - ჩაბარების დასტურით გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას ამანათის გაგზავნისას მოითხოვოს მისი ჩაბარების/ჩაუბარებლობის შესახებ ინფორმაციის უკან მიღება.

37.3.ჩაბარების დასტურის გამგზავნისთვის ჩაბარება ხორციელდება სერვისცენტრში - გამგზავნის მისამართის მიხედვით, ამანათის „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

37.4. იმ შემთხვევაში, თუ „საქართველოს ფოსტა"-სგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხდა ჩაბარების დასტურის გამგზავნისთვის გადაცემა 15 კალენდარული დღის ვადაში, ის გადაეცემა „საქართველოს ფოსტა"-ს შესაბამის სამსახურს, დადგენილი ვადით დაარქივებისა და ამ ვადის გასვლის შემდეგ მისი განადგურებისათვის.

## მუხლი 38. ამანათის არასამუშაო საათებში მიღება

38.1.დამატებითი სერვისი „ ამანათის არასამუშაო საათებში მიღება"-ს არჩევის უფლება აქვს მხოლოდ „საქართველოს ფოსტა"-ს იმ მომხმარებლებს, რომლებთანაც დადებულია ხელშეკრულება - შესაბამისი პირობით.

38.2. „ამანათის არასამუშაო საათებში მიღება" გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას გადასცეს „საქართველოს ფოსტა"-ს ადგილობრივი და საერთაშორისო რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) ამანათი სამუშაო დღეებში (გარდა შაბათისა) 17.00-დან 19.00 საათამდე პერიოდში. არასამუშაო საათებში მიღებული ამანათის ჩაბარების ვადის ათვლა იწყება მომდევნო სამუშაო დღიდან.

38.3. ამანათის არასამუშაო საათებში მიღება ხორციელდება მომხმარებლის მისამართზე, მხოლოდ ქ. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში.

## მუხლი 39. ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ

39.1. დამატებითი სერვისი „ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ" არჩევის უფლება აქვს ამანათის გამგზავნს, ადრესატს, წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მათ კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე ამანათის უშუალოდ ჩამბარებელ პირს, მხოლოდ რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო (შემომავალი) და სახმელეთო ამანათის გაგზავნის/მიღების შემთხვევაში.

39.2.ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ გულისხმობს მომხმარებლის (გამგზავნის/ადრესატის, წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მათი კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე ამანათის უშუალოდ ჩამბარებელი პირის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის ამავე ფორმით ინფორმაციის მიწოდებას გაგზავნილი/ჩაბარებული ამანათის შესახებ.

39.3. განცხადებას ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ თან უნდა ახლდეს: ინფორმაციის მომთხოვნი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი, ხოლო თუ ინფორმაციის მომთხოვნი პირი არ არის გამგზავნი, მიმღები ან გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელი პირი, აგრეთვე სათანადო წესით შედგენილი რწმუნებულება.

39.4.ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ მომართვის დღემდე განვლილ 1 (ერთ) წლიან პერიოდზე. თუ მოთხოვნილია ინფორმაცია, რომელიც შეეხება უფრო ხანგრძლივ პერიოდს, კომპანიას უფლება აქვს გასცეს ამგვარი ინფორმაცია, თუ დაცული მონაცემები იძლევა ამის საშუალებას.

39.5.მომხმარებელს საშუალება აქვს ერთი განცხადებით მოითხოვოს ინფორმაცია 5 (ხუთ) გზავნილზე, ან ინფორმაციის მოძიება ერთ თვიან პერიოდზე თუ მომხმარებელი ფიზიკური პირია და 15 დღიან პერიოდზე - თუ მომხმარებელი იურიდიული პირია.

39.6. ინფორმაციის გაცემა ხორციელდება კომპანიის მიერ შესაბამისი განცხადების მიღების დღის მომდევნო დღიდან 7(შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც ის ეგზავნება მომართვის ავტორს, ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული გზით (მითითებულ მისამართზე - I კლასის ან 12/12 წერილის სახით, ან გაიცემა სერვისცენტრში).

**მუხლი 40. ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა**

40.1. დამატებითი სერვისი - „ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, რეგისტრირებული საერთაშორისო გამავალი ამანათის გაგზავნის შემთხვევაში.

40.2.„ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას დადგენილი ტარიფის გადახდის საფუძველზე უარი თქვას „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადმოცემული ამანათის შემდგომ გაგზავნაზე, მისი „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადაცემის დღის 17.00 საათამდე.

# კარი V . EMS გზავნილი

## თავი 11. EMS გზავნილის მიღება/გაგზავნა და ჩაბარება

### მუხლი 41. EMS გზავნილის მიღება/გაგზავნა

41.1. „საქართველოს ფოსტა“, ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით ახორციელებს EMS გზავნილის:

41.1.1.სხვა სახელმწიფოს საფოსტო ადმინისტრაციებიდან მიღებას, მათი ადრესატებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების მიზნით;

41.1.2.საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლისგან მიღებას, მისი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაგზავნისა და ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით.

41.2. ქვეყანაში შემომავალი EMS გზავნილის მიღება „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ ხორციელდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაცვლის ცენტრში, რის შემდეგაც ხორციელდება მათი დამუშავება და ადრესატისთვის ჩაბარება, ამ დოკუმენტით განსაზღვრულ ვადებსა და წესით.

41.3. ქვეყნიდან გამავალი საერთაშორისო EMS გზავნილის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღება (შესაბამისად გამგზავნის მიერ მისი გაგზავნა), ხორციელდება სერვისცენტრის ან კურიერის მეშვეობით.

41.4. EMS გზავნილის შიგთავსი შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტები, ასევე საქონელი. ამასთან, EMS გზავნილის გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს როგორც საქართველოდან ექსპორტის, ასევე მიმღებ ქვეყანაში იმპორტისას.

41.5. გამგზავნი ვალდებულია EMS გზავნილის შეფუთვაზე დაიტანოს სრული ინფორმაცია ადრესატის ვინაობის, მისი ზუსტი მისამართისა და საკონტაქტო ტელეფონის ჩათვლით, აგრეთვე ინფორმაცია გზავნილის შიგთავსის შესახებ. თუ გზავნილის შიგთავსი საქონელია, ასევე სავალდებულოა შიგთავსის აღწერილობისა და ფასის მითითება.

41.6. EMS გზავნილი გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს. თუ გზავნილის შიგთავსს მსხვრევადი ნივთი წარმოადგენს, მისი შეფუთვა ასევე უნდა შეიცავდეს სათანადო აღნიშნვას ასეთის შესახებ.

### მუხლი 42. EMS გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება საქართველოს ტერიტორიაზე

42.1. EMS გზავნილის ჩაბარების მიზნით, კურიერი ადრესატის მისამართზე ახორციელებს ერთჯერად ვიზიტს.

42.2.თუ EMS გზავნილი დამისამართებულია ფიზიკურ პირზე, ის შეიძლება ჩაბარდეს როგორც უშუალოდ ადრესატს, ასევე სრულწლოვან პირს, რომელიც დახვდება კურიერს ადრესატის

მისამართზე და განაცხადებს, რომ ცხოვრობს/მუშაობს ადრესატთან ერთად და თანახმაა გადასცეს EMS გზავნილი ადრესატს.

42.3. თუ EMS გზავნილი არ არის დამისამართებული ფიზიკურ პირზე, მისი ჩაბარება ხორციელდება კანცელარიაში, ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულში, ან ის გადაეცემა ასეთ ორგანიზაციაში მომუშავე პირს. ამასთან, თუ EMS გზავნილის ადრესატია ორგანიზაცია, რომლის მისამართადაც მითითებულია საცხოვრებელი ბინა/სახლი, ასეთ მისამართზე მცხოვრები სრულწლოვანი პირისათვის გადაცემული EMS გზავნილი ითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ ასეთი პირი კურიერს განუცხადებს რომ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

42.4.EMS გზავნილის ჩაბარება ხორციელდება გზავნილის მიმღები პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ან პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი საბუთის) წარმოდგენისა და გზავნილის მიღების დასტურად მის მიერ სათანადო წესით ხელმოწერის განხორციელების შემდეგ.

42.5. ადრესატი უფლებამოსილია გზავნილის მიღების დასტურად ხელმოწერამდე მოახდინოს მისი გარეგნული დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერებისას აღმოაჩენს შეფუთვის მთლიანობის დარღვევას, განუცხადოს ამის შესახებ კურიერს. კურიერი ვალდებულია სათანადო აღნიშვნა გააკეთოს გზავნილის თანხმლებ დოკუმენტებში და ხელი მოაწერინოს ადრესატს. ასეთი გზავნილი, თანხმლებ დოკუმენტებთან ერთად კურიერის მიერ გადაეცემა ადრესატის მისამართის მიხედვით უახლოეს სერვისცენტრს, სადაც ადრესატი უფლებამოსილია 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში გამოცხადდეს და მიიღოს გზავნილი „საქართველოს ფოსტა"ს მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

42.6. იმ შემთხვევაში, თუ კურიერი ვერ ახერხებს შენობაში შესვლას, სადაც უშუალოდ განთავსებულია ადრესატის მისამართი (ბინა, ოფისი და ა.შ.), ან კურიერს არავინ დახვდება ადრესატის მისამართზე, ან პირი (თუ ის არ არის უშუალოდ ადრესატი) უარს განაცხადებს წერილის მიღებაზე, კურიერი დატოვებს შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს საფოსტო სერვისცენტრის მისამართს, სადაც ადრესატს შეუძლია მიაკითხოს EMS გზავნილს.

42.7.კურიერის მიერ შეტყობინების დატოვება ხორციელდება იმ პირისათვის, რომელიც დახვდება მას ადრესატის მისამართზე (თუ მისი ასაკი ვიზუალური შეფასებით აღემატება 16 წელს) და თანხმობას განაცხადებს შეტყობინების დატოვებაზე. ყველა სხვა შემთხვევაში, კურიერი შეტყობინებას ტოვებს იმ ადგილას, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ადრესატის მისამართთან (მაგ.ადრესატის კარი, სადარბაზოს კარი გარედან და ა.შ.) ან თუ შენობას ჰყავს დაცვა, შესაძლებელია შეტყობინების მისთვის დატოვება.

42.8. თუ EMS გზავნილი შეიცავს ადრესატის ტელეფონის ნომერს, შეტყობინების მატერიალურ ფორმატში დატოვების ნაცვლად ან მასთან ერთად შესაძლებელია ამ ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების გაგზავნა. SMS შეტყობინების ტექსტი უნდა შეიცავდეს ადრესატისთვის ინფორმაციას თუ როდის და სად შეუძლია მას EMS გზავნილის მიღება.

42.9. ის EMS გზავნილი, რომელზეც დატოვებულია შეტყობინება(მათ შორის SMS შეტყობინება) - ინახება სერვისცენტრში, მისი მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ ვადაში ადრესატს, მის მინდობილ პირს, ან სრულწლოვან პირს, რომელიც საკუთართან ერთად წარმოადგენს ადრესატის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ან მის სხვა მაიდენტიფიცირებელ საბუთს) და EMS გზავნილის კოდს, უფლება აქვს გაიტანოს ასეთი გზავნილი სერვისცენტრიდან.

42.10. მოუკითხავი EMS გზავნილი, რომელსაც გაუვა 42.9. პუნქტით აღნიშნული შენახვის ვადა, დაბრუნდება უკან გამომგზავნთან.

**მუხლი 43. EMS გზავნილის მიღება/გაგზავნის და ჩაბარების ვადები**

**<u>43.1.EMS გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადები:</u>**

43.1.1.EMS გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების (შეტყობინების დატოვების) ვადებია:

- <u>1 (ერთი)სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - თუ EMS გზავნილის ადრესატის მისამართი მდებარეობს იმ ქალაქში, სადაც „საქართველოს ფოსტა“-ს სერვისცენტრია განლაგებული ( გარდა სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში განლაგებული სერვისცენტრებისა);
- <u>2(ორი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - თუ EMS გზავნილის ადრესატის მისამართი არ მდებარეობს „საქართველოს ფოსტა“-ს სერვისცენტრის განლაგების ქალაქში და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში;
- <u>4 (ოთხი) სამუშაო დღე მისი მიღებიდან</u> - თუ EMS გზავნილის ადრესატის მისამართი მდებარეობს სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულში.

43.2. <u>ქვეყნიდან გამავალი EMS გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნის/შესვლის და მისი ამ ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადები</u>

43.2.1.საქართველოდან გაგზავნილი EMS გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ვადებია:

<u>ა) ევროპა:</u>

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ EMS გზავნილის ქ. თბილისში მიღებიდან - 3 (სამი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ EMS გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული EMS გზავნილებისა) მიღებიდან - 4 (ოთხი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ EMS გზავნილის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღე;

ბ) დანარჩენი მსოფლიო

- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ EMS გზავნილის ქ. თბილისში მიღებიდან - 4 (ოთხი)სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ EMS გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისსა და სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებული EMS გზავნილებისა) მიღებიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღე;
- „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ EMS გზავნილის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიღებიდან - 6 (ექვსი) სამუშაო დღე;

43.2.2. საქართველოდან გაგზავნილი EMS გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების ვადები განისაზღვრება მიმღები ქვეყნის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ქვეყნების მიხედვით მერყეობს 2-დან 7 სამუშაო დღემდე.

43.2.3. საქართველოდან გაგზავნილი EMS გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩაუბარებლობის შემთხვევაში, იგი ბრუნდება უკან გამომგზავნთან, დანიშნულების ქვეყნის მიერ დადგენილ ვადებში და წესით.

### მუხლი 44. EMS გზავნილის დამატებითი დებულებები

44.1. EMS გზავნილის მოძრაობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება მომხმარებელს შეუძლია როგორც თავად, (კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით), ასევე „საქართველოს ფოსტა“-თვის მომართვის საფუძველზე. მომხმარებელს ასევე საშუალება აქვს სურვილის შემთხვევაში მოახდინოს საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის გადამისამართება, ხოლო მისი „საქართველოს ფოსტა“-ს მიზეზით დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, დადგენილი წესის შესაბამისად აინაზღაუროს ზარალი.

## თავი 12. EMS გზავნილის დამატებითი სერვისები

### მუხლი 45. ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ

45.1. დამატებითი სერვისი „ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ“ არჩევის უფლება აქვს EMS გზავნილის გამგზავნს, ადრესატს, წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მათ კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე EMS გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელ პირს.

45.2.ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ გულისხმობს მომხმარებლის (გამგზავნის/ადრესატის, წერილობითი რწმუნებულების საფუძველზე მათი კანონიერი წარმომადგენლის, აგრეთვე EMS გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელი პირის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის ამავე ფორმით ინფორმაციის მიწოდებას გაგზავნილი/ჩაბარებული EMS გზავნილის შესახებ.

45.3. განცხადებას ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ თან უნდა ახლდეს: ინფორმაციის მომთხოვნი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მომსახურების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი, ხოლო თუ ინფორმაციის მომთხოვნი პირი არ არის გამგზავნი, მიმღები ან გზავნილის უშუალოდ ჩამბარებელი პირი, აგრეთვე სათანადო წესით შედგენილი რწმუნებულება.

45.4.ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ მომართვის დღემდე განვლილ 1 (ერთ) წლიან პერიოდზე. თუ მოთხოვნილია ინფორმაცია, რომელიც შეეხება უფრო ხანგრძლივ პერიოდს, კომპანიას უფლება აქვს გასცეს ამგვარი ინფორმაცია, თუ დაცული მონაცემები იძლევა ამის საშუალებას.

45.5. მომხმარებელს საშუალება აქვს ერთი განცხადებით მოითხოვოს ინფორმაცია 5 (ხუთ) გზავნილზე, ან ინფორმაციის მოძიება ერთ თვიან პერიოდზე თუ მომხმარებელი ფიზიკური პირია და 15 დღიან პერიოდზე - თუ მომხმარებელი იურიდიული პირია.

45.6.ინფორმაციის გაცემა ხორციელდება კომპანიის მიერ შესაბამისი განცხადების მიღების დღის მომდევნო დღიდან 7(შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც ის ეგზავნება მომართვის ავტორს, ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული გზით (მითითებულ მისამართზე - I კლასის ან 12/12 წერილის სახით, ან გაიცემა სერვის ცენტრში).

**მუხლი 46. ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე EMS გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა**

46.1. დამატებითი სერვისი - „ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე EMS გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში.

46.2. „ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე EMS გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას დადგენილი ტარიფის გადახდის საფუძველზე, უარი თქვას „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადმოცემული EMS გზავნილის შემდგომ გაგზავნაზე, მისი „საქართველოს ფოსტა“-სთვის გადაცემის დღის 17.00 საათამდე.

**მუხლი 47. გზავნილის დაზღვევა**

47.1. დამატებითი სერვისი -„გზავნილის დაზღვევა“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს, საერთაშორისო გამავალი EMS გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში.

47.2. „გზავნილის დაზღვევა“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას დააზღვიოს EMS გზავნილის შიგთავსი მის რეალურ ღირებულებად, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარად.

47.3. დაზღვევა ვრცელდება შემდეგ რისკებზე: „საქართველოს ფოსტა“-ს მიზეზით EMS გზავნილის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა ან დაზიანება.

**მუხლი 48. EMS გზავნილის არასამუშაო საათებში მიღება**

48.1.დამატებითი სერვისი „ EMS გზავნილის არასამუშაო საათებში მიღება“-ს არჩევის უფლება აქვს მხოლოდ „საქართველოს ფოსტა“-ს იმ მომხმარებლებს, რომლებთანაც დადებულია ხელშეკრულება - შესაბამისი პირობით.

48.2. „EMS გზავნილის არასამუშაო საათებში მიღება“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას გადასცეს „საქართველოს ფოსტა“-ს EMS გზავნილი სამუშაო დღეებში (გარდა შაბათისა) 17.00-დან 19.00 საათამდე პერიოდში. არასამუშაო საათებში მიღებული ამანათის ჩაბარების ვადის ათვლა იწყება მომდევნო სამუშაო დღიდან.

48.3. EMS გზავნილის არასამუშაო საათებში მიღებას „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს გამგზავნის მისამართზე, მხოლოდ ქ. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში.

# *კარი VI. AVIA გზავნილი*

## თავი 13. AVIA გზავნილის მიღება/გაგზავნა

**მუხლი 49. AVIA გზავნილის მიღება/გაგზავნა**

49.1. „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს AVIA გზავნილის საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლისგან მიღებას, მათი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაგზავნისა და ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით.

49.2. AVIA გზავნილის „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მიღება (შესაბამისად გამგზავნის მიერ მისი გაგზავნა), ხორციელდება სერვისცენტრის ან კურიერის მეშვეობით.

49.3. AVIA გზავნილის შიგთავსი შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტები, ასევე საქონელი. ამასთან, AVIA გზავნილის გამგზავნმა უნდა გაითვალისწინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები გზავნილის შიგთავსის მიმართ, რომელიც არსებობს როგორც საქართველოდან ექსპორტის, ასევე მიმღებ ქვეყანაში იმპორტისას.

49.4. გამგზავნი ვალდებულია AVIA გზავნილის შეფუთვაზე დაიტანოს სრული ინფორმაცია ადრესატის ვინაობის, მისი ზუსტი მისამართისა და საკონტაქტო ტელეფონის ჩათვლით, აგრეთვე ინფორმაცია გზავნილის შიგთავსის შესახებ. თუ გზავნილის შიგთავსი საქონელია, ასევე სავალდებულოა შიგთავსის აღწერილობისა და ფასის მითითება.

49.5. AVIA გზავნილი გამგზავნის მიერ შეფუთული უნდა იყოს იმაზე გათვლით, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს. თუ გზავნილის შიგთავსს მსხვრევადი ნივთი წარმოადგენს, მისი შეფუთვა ასევე უნდა შეიცავდეს სათანადო აღნიშვნას ასეთის შესახებ.

**მუხლი 50. AVIA გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადები**

50.1. საქართველოდან გაგზავნილი AVIA გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ადრესატისათვის ჩაბარების ვადაა - „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მისი მიღებიდან 3-6 სამუშაო დღე.

**შენიშვნა:** ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში AVIA გზავნილი კონკრეტულ დღეს მიღებულად ითვლება, თუ ის გადაცემულია „საქართველოს ფოსტა“-სთვის სამუშაო დღის 14.00 საათამდე.

50.2. საქართველოდან გაგზავნილი AVIA გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩაუბარებლობის შემთხვევაში, იგი უკან დაუბრუნდება გამგზავნს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გადაიხდის გზავნილის უკან დაბრუნების ღირებულებას. ამასთან, თუ გამგზავნი AVIA გზავნილის უკან დაბრუნების სურვილს არ გამოთქვამს მისი გაგზავნიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის განმავლობაში, იგი განადგურდება.

## თავი 14. AVIA გზავნილის დამატებითი სერვისები

**მუხლი 51. AVIA გზავნილის დაზღვევა**

51.1. დამატებითი სერვისი -„ AVIA გზავნილის დაზღვევა“-ს არჩევის უფლება აქვს გამგზავნს.

51.2. „გზავნილის დაზღვევა“ გულისხმობს გამგზავნის შესაძლებლობას დააზღვიოს AVIA გზავნილის შიგთავსი მის რეალურ ღირებულებად, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარად.

51.3. დაზღვევა ვრცელდება შემდეგ რისკებზე: „საქართველოს ფოსტა“-ს მიზეზით AVIA გზავნილის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა ან დაზიანება.

# კარი VII. პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები

## თავი 15. „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები

### მუხლი 52. „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგელობის მოცულობა

52.1. „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა მომხმარებლის წინაშე განისაზღვრება იმ პირდაპირი მატერიალური ზიანით, რომელიც მისი ბრალით (განზრახვით ან დაუდევრობით) იქნება გამოწვეული, მაგრამ არაუმეტეს ამ დოკუმენტით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარისა.

52.2. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, მატერიალურ ზიანში არ იგულისხმება მომხმარებლის არაპირდაპირი ზარალი, მათ შორის მიუღებელი შემოსავალი.

52.3. „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება მისი ბრალით:

52.3.1.რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საფოსტო გზავნილის:

- დაკარგვით;
- შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანებით ან ქურდობით;
- გამგზავნისათვის უკან დაბრუნებით;

52.3.2.საერთაშორისო EMS გზავნილის:

- დაკარგვით;
- შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანებით ან ქურდობით;
- ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 10 სამუშაო დღეზე მეტად დარღვევით;
- გამგზავნისათვის უკან დაბრუნებით;

52.3.3.საერთაშორისო AVIA გზავნილის:

- დაკარგვით;
- შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანებით ან ქურდობით;
- ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 10 სამუშაო დღეზე მეტად დარღვევით;

52.3.4.სახმელეთო ამანათის:

- დაკარგვით;
- შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანებით ან ქურდობით;

52.3.5. მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის:

- დაკარგვით;
- შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი ქურდობით;

52.4. „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ძალაშია, როდესაც:

52.4.1. საფოსტო გზავნილი დაიკარგა. ამასთან, საფოსტო გზავნილი ითვლება დაკარგულად, თუ:

- საერთაშორისო საფოსტო გზავნილის შემთხვევაში - ის დადასტურებულია დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის, ან გადამზიდავი კომპანიის მიერ, ან თუ საფოსტო გზავნილის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შემთხვევაში - მისი ჩაბარების ვადა დარღვეულია 10 (ათ) სამუშაო დღეზე მეტი ვადით.
- სახმელეთო ამანათის შემთხვევაში - თუ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი „საქართველოს ფოსტა"-სთვის გადმოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის შემთხვევაში - თუ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი „საქართველოს ფოსტისთვის" გადმოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

52.4.2.საფოსტო გზავნილის შიგთავსის დანაკლისი ან დაზიანება აღმოჩენილია მისი ადრესატისთვის გადაცემამდე, ან უშუალოდ მისი გადაცემის დროს;

52.4.3. საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, მისი შიგთავსის დანაკლისი ან დაზიანება აღმოჩენილია - საფოსტო გზავნილის უკან გამგზავნისთვის დაბრუნებამდე, ან უშუალოდ მისი დაბრუნების დროს;

52.4.4. თუ საფოსტო გზავნილის ადრესატი, ან გზავნილის უკან დაბრუნების შემთხვევაში - ასევე გამგზავნი, მიუხედავად იმისა, რომ არც თავად საფოსტო გზავნილი და არც მისი თანმხლები დოკუმენტები არ შეიცავს რაიმე აღნიშვნას გზავნილის დაზიანების შესახებ, **სერვისცენტრის დატოვებამდე** განაცხადებს რომ აღმოაჩინა შიგთავსის ქურდობა ან დაზიანება. ამ შემთხვევაში, პრეტენზიის განმცხადებელი პირი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ დაკარგვას ან დაზიანებას ადგილი არ ჰქონია გზავნილის მისთვის გადაცემის შემდეგ.

**მუხლი 53. გარემოებები, რომლის დროსაც „საქართველოს ფოსტა" თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან**

53.1."საქართველოს ფოსტა"-ს არ ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მარტივი წერილობითი კორესპონდენციის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების, ან მისი დადგენილ ვადაში ჩაუბარებლობის შემთხვევაში, გარდა 52.3.5. ქვეპუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობისა.

53.2. „საქართველოს ფოსტა" თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საფოსტო გზავნილი ადრესატისთვის ჩაბარებულია „საქართველოს ფოსტის", ხოლო საერთაშორისო გზავნილის შემთხვევაში - ასევე დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

53.3. „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს საბაჟო ორგანოების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ ორგანოს მიერ იქნება მიღებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ.

53.4. „საქართველოს ფოსტა“-ს პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:

53.4.1.იმ საფოსტო გზავნილების მიმართ, რომელთა ადრესატისათვის ჩაუბარებლობის მიზეზი გახდა გამგზავნისგან მიღებული არასწორი (არასრულყოფილი) ინფორმაცია.

53.4.2.დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში;

53.4.3. შემთხვევებში, როცა „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;

53.4.4. თუ საფოსტო გზავნილის დაკარგვა, მისი შიგთავსის არარსებობა, დაზიანება ან წონის სხვაობა გამოწვეულია გამგზავნის ბრალით ან დაუდევრობით (მათ შორის არასათანადო შეფუთვით), ან შიგთავსის თვისებებით;

53.4.5. იმ საფოსტო გზავნილის მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;

53.4.6. იმ საფოსტო გზავნილის მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით (მაგ. თუ გზავნილი შეფუთული უნდა იყოს განსაზღვრული სახით ), ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში.

53.4.7. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ გზავნილის დაკავების, განადგურების ან მისი კონფისკაციის შემთხვევაში;

53.4.8. თუ საფოსტო გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევა განხორციელებულია იმაზე მეტ თანხად, ვიდრე გზავნილის რეალური ღირებულებაა (ამ შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ გზავნილის რეალური ღირებულება);

53.4.9. თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;

53.4.10. სამხედრო ტყვეების ან ინტერნირებული სამოქალაქო პირების ამანათების მიმართ;

53.4.11. თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა „საქართველოს ფოსტას“ საფოსტო გზავნილის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში;

53.4.12.თუ გამგზავნი, საერთაშორისო გზავნილის გაგზავნისას მოითხოვს პირვანდელი დავალების შეცვლას (გზავნილის ადრესატისთვის ჩაუბარებლობას, მის უკან დაბრუნებას, გადამისამართებას და ა.შ), რომელიც „საქართველოს ფოსტა“-ს მცდელობის მიუხედავად ვერ განხორციელდება.

53.4.13.მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის შიგთავსის დაზიანების, აგრეთვე ასეთი დაზიანებით გამოწვეული წონის სხვაობის შემთხვევაში.

**მუხლი 54. დაუძლეველი ძალა**

54.1. დაუძლეველი ძალა არის გარემოება, რომელზე გავლენის მოხდენაც „საქართველოს ფოსტის“ მიერ შეუძლებელია. ამასთან, გონიერების პრინციპებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოლოდინი, რომ „საქართველოს ფოსტას“ ხელშეკრულების დადების, ან

არასახელშეკრულებო ვალდებულებების წარმოშობის დროს, შეეძლო გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება ან თავი აერიდებინა მისთვის, ან გადაელახა როგორც აღნიშნული შემაფერხებელი გარემოება, ასევე მისი შედეგი.

54.2. დაუძლეველ ძალად ჩაითვლება, „საქართველოს ფოსტისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო: ბუნებრივი მოვლენების ზემოქმედების შედეგად, ტექნიკური ხარვეზების ან დაბრკოლებების წარმოშობა; კატასტროფები; ამინდის გაუარესება, რომელიც იწვევს გადაადგილების შეზღუდვას; საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო კომპანიის უარი საფოსტო გზავნილების ტრანსპორტირებაზე; ომი; გაფიცვა; სამართლებრივი აქტების ცვლილება, ან სხვა ნებისმიერი შემთხვევა, რომლის თავიდან აცილება ან პროგნოზირება „საქართველოს ფოსტის“ მხრიდან შეუძლებელია.

54.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება ატარებს დროებით ხასიათს, ამ დოკუმენტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადები გადაიწევს დროის იმ პერიოდით, როცა დაუძლეველი ძალის მოქმედება ხელს უშლიდა ვალდებულების შესრულებას.

## თავი 16. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა და მისი გამომრიცხავი გარემოებები

### მუხლი 55. გამგზავნის პასუხისმგებლობის მოცულობა

55.1 გამგზავნს პასუხისმგებლობა ეკისრება „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლის სხეულის დაზიანების, სხვისი საფოსტო გზავნილების ან/და „საქართველოს ფოსტის“ ქონების დაზიანების გამო, თუ აღნიშნულის მიზეზი გახდა გამგზავნის მიერ:

ა) აკრძალული საგნების გაგზავნა;

ბ) დადგენილი წესების დარღვევით საფოსტო გზავნილის შეფუთვა, ან მასზე სპეციალური მარკირების არარსებობა.

55.2. გამგზავნის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ ფოსტა გასაგზავნად მიიღებს საფოსტო გზავნილს, რომელიც შეიცავს აკრძალულ საგნებს, ან შეფუთულია დადგენილი წესების დარღვევით ან/და მასზე არ არის დატანილი სპეციალური მარკირება.

### მუხლი 56. გამგზავნის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

56.1. თუ გამგზავნი დაიცავს საფოსტო გზავნილის გაგზავნისთვის დაწესებულ ყველა პირობას, ის პასუხს არ აგებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება „საქართველოს ფოსტის“ ბრალით, გზავნილის დამუშავების ან/და მისი ტრანსპორტირების დროს.

# კარი VIII. ზიანის ოდენობის ზღვრული ოდენობა

## თავი 17. „საქართველოს ფოსტის“ მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

**მუხლი 57. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში**

57.1. ადგილობრივი რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საფოსტო გზავნილის დაკარგვის, შიგთავსის ქურდობის ან დაზიანების შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

57.1.1. „ჩაბარების დასტურის“ დაკარგვის შემთხვევაში - ამ მომსახურების ღირებულების ოდენობით. მომხმარებელს უფლება აქვს, ასეთ ანაზღაურებაზე უარის თქმის სანაცვლოდ, „საქართველოს ფოსტისგან“ მოითხოვოს საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ ინფორმაციის უფასოდ გაცემა.

57.1.2. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის ან/და ამანათის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანად განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში:

ა) წერილობითი კორესპონდენციისათვის - **ასეთი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნის ღირებულებას + ამ ღირებულების 10%.**

ბ) ამანათისათვის - **ასეთი ამანათის გაგზავნის ღირებულებას + თითოეულ კილოგრამზე 5(ხუთი) ლარი.**

57.1.3. დაზღვეული წერილობითი კორესპონდენციის ან/და ამანათის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანად განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში - ფასგამოცხადებული თანხის ოდენობით;

57.1.4. რეგისტრირებული გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს იმ მაქსიმალური ზღვარისა, რომელიც დაწესებულია ამ სახეობის საფოსტო გზავნილის ანაზღაურებისათვის.

57.1.5. დაზღვეული გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ფასგამოცხადებული თანხისა.

57.2. საერთაშორისო რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) გზავნილის დაკარგვის, შიგთავსის ქურდობის ან დაზიანების შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

57.2.1. რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანად განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში:

ა) წერილისა და მცირე პაკეტისათვის - **30 SDR;**

ბ) M ტომარასთვის - **150 SDR;**

57.2.2. რეგისტრირებული ამანათის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანად განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში:

ა) **40 SDR + 4.5 SDR ამანათის თითოეული კილოგრამისთვის.**

57.2.3. დაზღვეული გზავნილის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანად განადგურების ან ქურდობის შემთხვევაში:

ა) **ფასგამოცხადებული თანხის ოდენობით;**

57.2.4. რეგისტრირებული გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან/და ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს იმ მაქსიმალური ზღვარისა, რომელიც დაწესებულია ამ სახეობის საფოსტო გზავნილის ანაზღაურებისათვის.

57.2.5. დაზღვეული გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ფასგამოცხადებული თანხისა.

57.2.6. ამ მუხლის 57.2.1. - 57.2.3. ქვეპუნქტებში განსაზღვრული ანაზღაურების გარდა, საერთაშორისო რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საფოსტო გზავნილის დაკარგვის შემთხვევაში, გამგზავნს უფლება აქვს უკან მიიღოს ყველა გადახდილი გადასახადი, დაზღვევის ღირებულების გამოკლებით.

57.2.7.თუ გამგზავნი, ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს ამ მუხლით განსაზღვრულზე ნაკლებ ანაზღაურებას, „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია აანაზღაუროს ნაკლები თანხა.

**57.3.“საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს რეგისტრირებული (მათ შორის დაზღვეული) საფოსტო გზავნილის უკან, გამგზავნისთვის დაბრუნების შემთხვევაში, თუ:**

57.3.1. თუ საფოსტო გზავნილის დაბრუნების მიზეზი გაურკვეველია;

57.3.2. საფოსტო გზავნილის დაბრუნების მიზეზია ფოსტის შეცდომა.

57.3.3. დაბრუნებული საფოსტო გზავნილის უკან მიღებაზე უარს აცხადებს გამგზავნი, მისი დაზიანების გამო.

57.3.4. ამ პუნქტის 57.3.1.-57.3.3. ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ასეთი საფოსტო გზავნილის ხელახლა გადაგზავნის ღირებულებას. გამგზავნს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს საფოტო გზავნილის დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა ტარიფის ან ოფიციალური გადასახადის გადახდა. მას ასევე უფლება აქვს უარი თქვას საფოსტო გზავნილის ხელახლა გადაგზავნაზე და მოითხოვოს მისი გაგზავნის ღირებულების უკან

დაბრუნება, ხოლო 57.3.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ასევე მოითხოვოს დაზიანებული შიგთავსის ღირებულების ანაზღაურება, 57.2.1; 57.2.2. და 57.2.3. პუნქტებით დადგენილი ოდენობით.

**მუხლი 58. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - საერთაშორისო EMS გზავნილის შემთხვევაში**

58.1.საერთაშორისო EMS გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 10 (ათ) სამუშაო დღეზე მეტი ვადით დარღვევის, აგრეთვე ასეთი გზავნილის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

58.1.1. EMS გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 10 (ათ) სამუშაო დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში - სხვაობას გადახდილი EMS გზავნილის გაგზავნის ტარიფსა და იმავე წონის რეგისტრირებული საფოსტო გზავნილის (წერილობითი კორესპონდენცია ან ამანათი) საჰაერო გზით გაგზავნის ღირებულებას შორის;

58.1.2. EMS გზავნილის დაკარგვით, მისი შიგთავსის მთლიანი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში:

ა) დოკუმენტებისთვის - **30 SDR;**

ბ) საქონელისთვის - **130 SDR.**

58.1.3. EMS გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში - **სადაზღვევო პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს რეალური ზიანისა.**

58.1.4. EMS გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან/და ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს იმ მაქსიმალური ზღვარისა, რომელიც დაწესებულია ამ სახეობის საფოსტო გზავნილის ანაზღაურებისათვის.

58.1.5. დაზღვეული EMS გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დაზღვევის თანხისა.

58.1.6. ამ მუხლის 58.1.2. და 58.1.3. ქვეპუნქტებში განსაზღვრული ანაზღაურების გარდა, EMS გზავნილის დაკარგვის შემთხვევაში, გამგზავნს უფლება აქვს უკან მიიღოს ყველა გადახდილი გადასახადი, დაზღვევის ღირებულების გამოკლებით.

58.1.7.თუ გამგზავნი, ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს ამ მუხლით განსაზღვრულზე ნაკლებ ანაზღაურებას, „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია აანაზღაუროს ნაკლები თანხა.

58.2. “საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს EMS გზავნილის უკან, გამგზავნისთვის დაბრუნების შემთხვევაში, თუ:

58.2.1. თუ EMS გზავნილის დაბრუნების მიზეზი გაურკვეველია;

58.2.2. EMS გზავნილის დაბრუნების მიზეზია ფოსტის შეცდომა;

58.2.3. დაბრუნებული EMS გზავნილის უკან მიღებაზე უარს აცხადებს გამგზავნი, მისი დაზიანების გამო.

58.2.4. ამ პუნქტის 58.2.1.-58.2.3. ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ასეთი EMS გზავნილის ხელახლა გადაგზავნის ღირებულებას. გამგზავნს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს საფოსტო გზავნილის დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა ტარიფის ან ოფიციალური გადასახადის გადახდა. მას ასევე უფლება აქვს უარი თქვას საფოსტო გზავნილის ხელახლა გადაგზავნაზე და მოითხოვოს მისი გაგზავნის ღირებულების უკან დაბრუნება, ხოლო 58.2.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ასევე მოითხოვოს დაზიანებული შიგთავსის ღირებულების ანაზღაურება, 58.1.2. და 58.1.3 პუნქტებით დადგენილი ოდენობით.

**მუხლი 59. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - საერთაშორისო AVIA გზავნილის შემთხვევაში**

**59.1.საერთაშორისო AVIA გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 10 (ათ) სამუშაო დღეზე მეტი ვადით დარღვევის, აგრეთვე ასეთი გზავნილის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:**

59.1.1. AVIA გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის 10 (ათ) სამუშაო დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში - სხვაობას გადახდილი AVIA გზავნილის გაგზავნის ტარიფსა და იმავე წონის რეგისტრირებული საფოსტო გზავნილის (წერილობითი კორესპონდენცია ან ამანათი) საჰაერო გზით გაგზავნის ღირებულებას შორის;

59.1.2. AVIA გზავნილის დაკარგვით, მისი შიგთავსის მთლიანი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში:

ა) დოკუმენტებისთვის - **50 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი.**

ბ) საქონელისთვის - **100 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი.**

59.1.3. AVIA გზავნილის დაზღვევის შემთხვევაში - **სადაზღვევო პირობების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს რეალური ზიანისა.**

59.1.4. AVIA გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან/და ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს იმ მაქსიმალური ზღვარისა, რომელიც დაწესებულია ამ სახეობის საფოსტო გზავნილის ანაზღაურებისათვის.

59.1.5. დაზღვეული AVIA გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დაზღვევის თანხისა.

59.1.6. ამ მუხლის 59.1.2. და 59.1.3. ქვეპუნქტებში განსაზღვრული ანაზღაურების გარდა, AVIA გზავნილის დაკარგვის შემთხვევაში, გამგზავნს უფლება აქვს უკან მიიღოს ყველა გადახდილი გადასახადი, დაზღვევის ღირებულების გამოკლებით.

59.1.7.თუ გამგზავნი, ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვს ამ მუხლით განსაზღვრულზე ნაკლებ ანაზღაურებას, „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია აანაზღაუროს ნაკლები თანხა.

**მუხლი 60. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - სახმელეთო ამანათის შემთხვევაში**

**60.1. სახმელეთო ამანათის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:**

60.1.1. სახმელეთო ამანათის დაკარგვით, მისი შიგთავსის მთლიანი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში:

- **20 ლარს + 5 ლარი ყოველ კილოგრამზე, მაგრამ საერთო ჯამში არაუმეტეს 170 ლარისა;**

60.1.2. სახმელეთო ამანათის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან/და ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს პუნქტი 60.1.1.-ში აღნიშნული მაქსიმალური ზღვარისა.

**მუხლი 61. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა - მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის შემთხვევაში**

**61.1. მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი ქურდობის შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:**

61.1.1. მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ქურდობის შემთხვევაში:

- 5 ლარი - 100გრ-მდე და ყოველ მომდევნო სრულ 100გრ-ზე, მაგრამ არაუმეტეს 50 ლარისა.

61.1.2. მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილის შიგთავსის ნაწილობრივ ქურდობის შემთხვევაში - გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს პუნქტი 61.1.1.-ში აღნიშნული მაქსიმალური ზღვარისა.

## თავი 18. გამგზავნის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

**მუხლი 62. ზიანის ოდენობა**

62.1. 55-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომის შემთხვევაში, გამგზავნის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც „საქართველოს ფოსტა“ იქნება პასუხისმგებელი დაზარალებულის წინაშე.

# *კარი IX. გადაწყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე*

## თავი 19. რეკლამაციების განხილვა

**მუხლი 63. რეკლამაციის წარდგენა და განხილვა**

63.1. მომხმარებელს უფლება აქვს წარუდგინოს „საქართველოს ფოსტას“ რეკლამაცია:

- მის მიერ გაგზავნილი საერთაშორისო საფოსტო გზავნილის მოძიების თაობაზე;
- საფოსტო გზავნილის დაკარგვის, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ან/და ქურდობის გამო - ზიანის ანაზღაურების შესახებ;
- მომსახურების სტანდარტული პირობებისათვის შეუსაბამობის გამო;

63.2. რეკლამაციის წარდგენის ვადაა 6(ექვსი) თვე - საფოსტო გზავნილის „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებიდან. „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს აღნიშნული ვადის შემდეგ მიღებული რეკლამაცია დატოვოს განუხილველი და აცნობოს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.

63.3. რეკლამაციის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით სერვისცენტრში, ან ეგზავნება „საქართველოს ფოსტა“-ს:

ა) მატერიალური სახით, მისამართზე: საქართველო, თბილისი 0100, სადგურის მოედანი #2, ან

ბ) ელექტრონული სახით, მისამართზე: info@gpost.ge.

63.4. წარდგენილი რეკლამაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

63.4.1.განცხადება რეკლამაციის შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) რეკლამაციის ავტორი ფიზიკური პირის სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის დასახელება; მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი;
ბ) გამგზავნის და ადრესატის ვინაობა და მისამართები;
გ) იმ საფოსტო გზავნილის მონაცემები, რომელიც წარმოადგენს რეკლამაციის საფუძველს (საფოსტო გზავნილის სახეობა; მაიდენტიფიცირებელი ნომერი; იმ საფოსტო სერვისცენტრის ნომერი, საიდანაც მოხდა საფოსტო გზავნილის გაგზავნა; გაგზავნის თარიღი; დაზღვეული საფოსტო გზავნილის შემთხვევაში - ფასგამოცხადების თანხა).
დ) რეკლამაციის შინაარსი.
ე) პასუხის მიღების სასურველი ფორმა (ზეპირად, წერილობით - ფოსტით, თუ ელექტრონული ფოსტით).

63.4.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

63.4.3. სათანადო წესით შედგენილი/დამოწმებული რწმუნებულების ასლი, თუ განმცხადებელი გამგზავნის/ადრესატის რწმუნებული პირია;

63.4.4. საფოსტო გზავნილის გაგზავნის ღირებულების დამადასტურებელი ქვითარი, თუ რეკლამაციის წარმდგენი პირი გამგზავნია.

63.5. ამ მუხლის 63.4. პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას არ განიხილოს რეკლამაცია და აცნობოს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.

63.6. „საქართველოს ფოსტა“ არ განიხილავს რეკლამაციას, რომელიც შეეხება მარტივ წერილობით კორესპონდენციას (გარდა მარტივი ელექტრონული კომერციის გზავნილებისა) და აცნობებს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.

63.7. თითოეულ საფოსტო გზავნილზე რეკლამაციის წარმოდგენა ხდება ცალ-ცალკე.

63.8. რეკლამაციების განხილვა „საქართველოს ფოსტის“ მიერ ხორციელდება უფასოდ.

63.9. „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით ნებისმიერ დროს მოითხოვოს საფოსტო გზავნილში მოთავსებული ნივთის/ნივთების ფასის ექსპერტული შეფასება, ან ასეთი ნივთების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

**მუხლი 64. რეკლამაციის განხილვის ვადა**

64.1. „საქართველოს ფოსტა“ ადგილობრივ საფოსტო გზავნილზე რეკლამაციის განხილვას ახორციელებს მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის შესახებაც აცნობებს რეკლამაციის ავტორს, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული ფორმით.

64.2. თუ 64.1. პუნქტში აღნიშნულ ვადაში ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რეკლამაციის ავტორს ამ ვადაში ეცნობება რეკლამაციის განხილვის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საბოლოო პასუხი მიეცემა რეკლამაციის მიღებიდან - ერთი თვის განმავლობაში.

64.3. „საქართველოს ფოსტა“ საერთაშორისო საფოსტო გზავნილზე რეკლამაციის განხილვას ახორციელებს მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, რის შესახებაც აცნობებს რეკლამაციის ავტორს, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული ფორმით.

64.4. თუ 64.3. პუნქტში აღნიშნულ ვადაში ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რეკლამაციის ავტორს ამ ვადაში ეცნობება რეკლამაციის განხილვის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საბოლოო პასუხი მიეცემა რეკლამაციის მიღებიდან - 2(ორი) თვის განმავლობაში.

64.5. თუ რეკლამაციის განხილვის პროცესში „საქართველოს ფოსტის“ მიერ რეკლამაციის ავტორისაგან მოთხოვნილია დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა, ასეთი დოკუმენტების მოთხოვნიდან - მის წარმოდგენამდე პერიოდში რეკლამაციების განხილვის ვადის დინება შეჩერდება.

## თავი 20. ზიანის ანაზღაურება

**მუხლი 65. ზიანის ანაზღაურების წესი**

65.1. „საქართველოს ფოსტის“ მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში, ასეთი ანაზღაურება ხორციელდება გადაწყვეტილების მიღებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

65.2. როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი საფოსტო გზავნილების მიმართ ანაზღაურება წარმოებს ლარებში, გადახდის დღეს დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

65.3. „საქართველოს ფოსტა“ როგორც წესი ანაზღაურებას ახორციელებს გამგზავნის მიმართ, რომელსაც უფლება აქვს ანაზღაურების მიღების უფლება დაუთმოს ადრესატს, თუ ამის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობებს „საქართველოს ფოსტას“. როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს უფლება აქვთ ანაზღაურების მიღების უფლება დაუთმონ მესამე პირს, თუ ამის შესახებ წერილობით აცნობებენ „საქართველოს ფოსტას“. წერილობითი ინფორმაცია ანაზღაურების მიღების უფლების დათმობის თაობაზე, „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება ორიგინალი დოკუმენტის, ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

65.4. „საქართველოს ფოსტა“, პუნქტი 65.3.-ში დადგენილი პროცედურების გარეშე ახორციელებს ანაზღაურებას ადრესატის მიმართ, თუ ანაზღაურება შეეხება ელექტრონული კომერციის გზავნილებთან დაკავშირებულ ზიანს, აგრეთვე ზიანს, რომელიც დადგა საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილის „საქართველოს ფოსტისთვის“ გადმოცემის შემდეგ.

65.5.ანაზღურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების სახით, თანხის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

65.6. თუ ანაზღაურების გადახდის შემდეგ, დაკარგული საფოსტო გზავნილი ან მისი ნაწილი ნაპოვნი იქნება, „საქართველოს ფოსტა“ ამის შესახებ აცნობებს პირს, ვის მიმართაც მოხდა ანაზღაურება და განუმარტავს, რომ მას ერთი თვის განმავლობაში უფლება აქვს მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების სანაცვლოდ მიიღოს ნაპოვნი გზავნილი. თუ პირი, ვის მიმართაც მოხდა ანაზღაურება, „საქართველოს ფოსტისგან“ შეტყობინების მიღების დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში არ აცნობებს მას საკუთარი სურვილის შესახებ - დაიბრუნოს ნაპოვნი საფოსტო გზავნილი, „საქართველოს ფოსტა“ ასეთივე შეტყობინებას უგზავნის საფოსტო გზავნილის გამგზავნს, ან ადრესატს (პირს, რომელსაც არ მიუღია ანაზღაურება) და მასაც აძლევს პასუხის გაცემისთვის იმავე ვადას.

65.7. თუ გამგზავნი და ადრესატი უარს აცხადებენ ნაპოვნი საფოსტო გზავნილის მიღებაზე, ან პუნქტი 65.6.-ში დადგენილ ვადაში არ აცნობებენ „საქართველოს ფოსტას“ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, ნაპოვნი საფოსტო გზავნილი გადადის „საქართველოს ფოსტის“, ან სხვა იმ პირის (საერთაშორისო საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) საკუთრებაში, რომლის ხარჯზეც გაცემულ იქნა ანაზღაურება საფოსტო გზავნილის სრულად ან მისი ნაწილის დაკარგვის გამო.

# კარი X. საერთო დებულებები

## თავი 21. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება საფოსტო გზავნილების გაგზავნა და მიღება

### მუხლი 66. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება მარტივი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნა

66.1.“საქართველოს ფოსტა“ მარტივი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნას ახორციელებს შემდეგ ქვეყნებში:

| I ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალბანეთი / Albania | 19 | ისლანდია/ Iceland | 37 | პორტუგალია /Portugal |
| 2 | სასომხეთი / Armenia | 20 | ირლანდია /Ireland | 38 | რუმინეთი /Romania |
| 3 | ავსტრია / Austria | 21 | ისრაელი /Israel | 39 | რუსეთი /Russia |
| 4 | აზერბაიჯანი / Azerbaijan | 22 | იტალია /Italy | 40 | სან მარინო /San Marino |
| 5 | ბელორუსი /Belarus | 23 | ყაზახეთი /Kazakhstan | 41 | სერბეთი /Serbia |
| 6 | ბელგია /Belgium | 24 | ყირგიზეთი /Kyrgyzstan | 42 | სლოვაკეთი /Slovakia |
| 7 | ბოსნია და ჰერცოგოვინა /Bosnia and Herzegovina | 25 | ლატვია /Latvia | 43 | სლოვენია /Slovenia |
| 8 | ბულგარეთი /Bulgaria | 26 | ლიხტენშტეინი /Liechtenstein | 44 | ესპანეთი /Spain |
| 9 | ხორვატია /Croatia | 27 | ლიტვა /Lithuania | 45 | შვედეთი /Sweden |
| 10 | კიპრი /Cyprus | 28 | ლუქსემბურგი /Luxembourg | 46 | შვეიცარია /Switzerland |
| 11 | ჩეხეთის რესპ. /Czech Republic | 29 | მაკედონია /Macedonia | 47 | ტაჯიკეთი /Tajikistan |
| 12 | დანია /Denmark | 30 | მალტა /Malta | 48 | თურქეთი /Turkey |
| 13 | ესტონეთი /Estonia | 31 | მოლდოვა /Moldova | 49 | თურქმენეთი /Turkmenistan |
| 14 | ფინეთი /Finland | 32 | მონაკო /Monaco | 50 | უკრაინა/ Ukraine |
| 15 | საფრანგეთი /France | 33 | მონტენეგრო /Montenegro | 51 | დიდი ბრიტანეთი /United Kingdom |
| 16 | გერმანია /Germany | 34 | ნიდერლანდები /Netherlands | 52 | უზბეკეთი /Uzbekistan |
| 17 | საბერძნეთი /Greece | 35 | ნორვეგია /Norway | 53 | ვატიკანი /Vatican |
| 18 | უნგრეთი /Hungary | 36 | პოლონეთი /Poland | | |

| II ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავღანეთი /Afghanistan | 13 | ერაყი /Iraq | 25 | პაკისტანი /Pakistan |
| 2 | ალჟირი /Algeria | 14 | იორდანია /Jordan | 26 | ფილიპინები/ Philippines |
| 3 | ანგოლა /Angola | 15 | ჩრდ. კორეა /Korea, North | 27 | კატარი /Qatar |
| 4 | ბაჰრეინი /Bahrain | 16 | სამხ. კორეა (დემოკრ. სახ. რესპ) / Korea, South(Dem. People's Rep) | 28 | საუდის არაბეთი /Saudi Arabia |
| 5 | ბუტანი /Bhutan | 17 | კუვეიტი/ Kuwait | 29 | სინგაპური /Singapore |
| 6 | ბრუნეა /Brunei | 18 | ლაოსი /Laos | 30 | შრი ლანკა /Sri Lanka |
| 7 | კამბოჯა /Cambodia | 19 | ლიბანი /Lebanon | 31 | სირიის არაბთა რესპუბლიკა /Syrian Arab Rep. |
| 8 | ჩინეთი /China | 20 | მალაიზია /Malaysia | 32 | ტაილანდი /Thailand |
| 9 | ეგვიპტე /Egypt | 21 | მონღოლეთი /Mongolia | 33 | არაბეთის გაერთიანებული ემირატები/United Arab Emirates |
| 10 | ინდოეთი /India | 22 | მაროკო /Morocco | 34 | ვიეტნამი /Vietnam |
| 11 | ინდონეზია /Indonesia | 23 | ნეპალი /Nepal | 35 | მიანმარი/Myanmar |
| 12 | ირანი/ Iran | 24 | ომანი/ Oman | | |

| III ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანტიგუა და ბარბუდა/ Antigua and Barbuda | 35 | ეთიოპია /Ethiopia | 69 | პაპუა ახალი გვინეა /Papua New Guinea |
| 2 | არგენტინა /Argentina | 36 | ფიჯი /Fiji | 70 | პარაგვაი /Paraguay |
| 3 | არუბა /Aruba | 37 | გაბონი /Gabon | 71 | პერუ /Peru |
| 4 | ავსტრალია /Australia | 38 | გამბია /Gambia | 72 | რუანდა /Rwanda |
| 5 | ბაჰამის კუნძ./Bahamas | 39 | განა /Ghana | 73 | წმინდა კიტსი და ნევისი (კრისტოფერი) /Saint Kitts and Nevis (Christofer) |
| 6 | ბანგლადეში /Bangladesh | 40 | გრენადა /Grenada | 74 | სენტ-ლუსია /Saint Lucia |
| 7 | ბარბადოსი /Barbados | 41 | გუატემალა /Guatemala | 75 | სენტ ვინსენტი და გრინი /Saint Vincent and Gren. |
| 8 | ბელიზი /Belize | 42 | გვინეა /Guinea | 76 | სამოა/ Samoa |
| 9 | ბენინი /Benin | 43 | გვინეა-ბისაუ /Guinea-Bissau | 77 | სან-ტომე და პრინსიპი /Sao Tome and Principe |
| 10 | ბოლივია /Bolivia | 44 | გაიანა /Guyana | 78 | სენეგალი /Senegal |
| 11 | ბოცვანა /Botswana | 45 | ჰაიტი /Haiti | 79 | სეიშელი /Seychelles |
| 12 | ბრაზილია /Brazil | 46 | ჰონდურასი/ Honduras | 80 | სიერა ლიონე /Sierra Leone |
| 13 | ბურკინა ფასო /Burkina Faso | 47 | იაპონია /Japan | 81 | სოლომონის კუნძულები /Solomon Islands |
| 14 | ბურუნდი /Burundi | 48 | იამაიკა /Jamaica | 82 | სომალი /Somali |
| 15 | კამერუნი /Cameroon | 49 | კენია/ Kenya | 83 | სამხრეთ აფრიკა /South Africa |
| 16 | კანადა /Canada | 50 | კირიბატი /Kiribati | 84 | სამხრეთ სუდანი /South Sudan |
| 17 | კაბო ვერდე /Cape Verde | 51 | ლესოტო /Lesotho | 85 | სუდანი /Sudan |
| 18 | ცენტრალური აფრიკის რესპ./Central African Republic | 52 | ლიბერია /Liberia | 86 | სურინამი /Suriname |
| 19 | ჩადი /Chad | 53 | ლიბია /Libya | 87 | სვაზილენდი /Swaziland |
| 20 | ჩილე /Chile | 54 | მადაგასკარი /Madagascar | 88 | ტანზანია /Tanzania |
| 21 | კოლუმბია /Colombia | 55 | მალავი /Malawi | 89 | ტიმორ-ლესტე /Timor-Leste |
| 22 | კომორის კუნძ. /Comoros | 56 | მალდივები /Maldives | 90 | ტოგო /Togo |
| 23 | კონგოს დემოკრ. რესპ. /Congo, Democratic Rep. | 57 | მალი /Mali | 91 | ტონგა /Tonga |
| 24 | კონგო, კონგოს რესპ./ Congo, Republic of Congo | 58 | მავრიტანია/ Mauritania | 92 | ტრინიდატი და ტობაკო /Trinidad and Tobago |
| 25 | კოსტა რიკა /Costa Rica | 59 | მავრიკი /Mauritius | 93 | ტუნისი /Tunisia |
| 26 | კოტ დივუარი /Cote d'Ivoire | 60 | მექსიკა /Mexico | 94 | ტუვალუ /Tuvalu |
| 27 | კუბა /Cuba | 61 | მოზამბიკი /Mozambique | 95 | უგანდა /Uganda |
| 28 | ჯიბუტი /Djibouti | 62 | ნამიბია /Namibia | 96 | აშშ/ USA |
| 29 | დომინიკა /Dominica | 63 | ნაურუ /Nauru | 97 | ურუგვაი /Uruguay |
| 30 | დომინიკას რესპუბლიკა/ Dominican Republic | 64 | ახალი ზელანდია /New Zealand | 98 | ვანუატუ /Vanuatu |
| 31 | ეკვადორი /Ecuador | 65 | ნიკარაგუა /Nicaragua | 99 | ვენესუელა /Venezuela |
| 32 | ელ სალვადორი /El Salvador | 66 | ნიგერ /Niger | 100 | იემენი /Yemen |
| 33 | ეკვატორული გვინეა /Equatorial Guinea | 67 | ნიგერია /Nigeria | 101 | ზამბია /Zambia |
| 34 | ერიტრეა /Eritrea | 68 | პანამა /Panama | 102 | ზიმბაბვე/ Zimbabwe |

**მუხლი 67. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის, ამანათისა და EMS გზავნილის გაგზავნა**

67.1. "საქართველოს ფოსტა" რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენციის, ამანათისა და EMS გზავნილის გაგზავნას ახორციელებს შემდეგ ქვეყნებში:

| I ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალბანეთი / Albania | 18 | უნგრეთი /Hungary | 35 | სლოვენია /Slovenia |
| 2 | სასომხეთი / Armenia | 19 | ისლანდია/ Iceland | 36 | ესპანეთი /Spain |
| 3 | ავსტრია / Austria | 20 | ირლანდია /Ireland | 37 | შვედეთი /Sweden |
| 4 | აზერბაიჯანი / Azerbaijan | 21 | ისრაელი /Israel | 38 | შვეიცარია /Switzerland |
| 5 | ბელორუსი /Belarus | 22 | იტალია /Italy | 39 | თურქეთი /Turkey |
| 6 | ბელგია /Belgium | 23 | ყაზახეთი /Kazakhstan | 40 | უკრაინა/ Ukraine |
| 7 | ბოსნია და ჰერცოგოვინა /Bosnia and Herzegovina | 24 | ლატვია /Latvia | 41 | დიდი ბრიტანეთი /United Kingdom |
| 8 | ბულგარეთი /Bulgaria | 25 | ლიხტენშტეინი /Liechtenstein | 42 | უზბეკეთი /Uzbekistan |
| 9 | ხორვატია /Croatia | 26 | ლიტვა /Lithuania | 43 | მონაკო / Monaco |
| 10 | კიპრი /Cyprus | 27 | ლუქსემბურგი /Luxembourg | 44 | ჩერნოგორია / Montenegro |
| 11 | ჩეხეთის რესპ. /Czech Republic | 28 | მაკედონია /Macedonia | 45 | ნიდერლანდი/ Netherlands |
| 12 | დანია /Denmark | 29 | მალტა /Malta | 46 | ნორვეგია / Norway |
| 13 | ესტონეთი /Estonia | 30 | მოლდოვა /Moldova | 47 | პოლონეთი / Poland |
| 14 | ფინეთი /Finland | 31 | რუსეთი /Russia | 48 | პორტუგალია/ Portugal |
| 15 | საფრანგეთი /France | 32 | სან მარინო /San Marino | 49 | რუმინეთი / Romania |
| 16 | გერმანია /Germany | 33 | სერბეთი /Serbia | | |
| 17 | საბერძნეთი /Greece | 34 | სლოვაკეთი /Slovakia | | |

| II ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანგოლა /Angola | 10 | ირანი/ Iran | 19 | ფილიპინები/ Philippines |
| 2 | ბაჰრეინი /Bahrain | 11 | იორდანია /Jordan | 20 | საუდის არაბეთი /Saudi Arabia |
| 3 | ბუტანი /Bhutan | 12 | სამხ. კორეა (დემოკრ. სახ. რესპ)/ Korea, South(Dem. People's Rep) | 21 | სინგაპური /Singapore |
| 4 | ბრუნეა /Brunei | 13 | ლაოსი /Laos | 22 | შრი ლანკა /Sri Lanka |
| 5 | ჩინეთი /China | 14 | მალაიზია /Malaysia | 23 | ტაილანდი /Thailand |
| 6 | ეგვიპტე /Egypt | 15 | მონღოლეთი /Mongolia | 24 | არაბეთის გაერთიანებული ემირატები /United Arab Emirates |
| 7 | ჰონგ კონგი (ჩინეთი) /Hong Kong ( China ) | 16 | მაროკო /Morocco | 25 | ვიეტნამი /Vietnam |
| 8 | ინდოეთი /India | 17 | ნეპალი /Nepal | 26 | მიანმარი / Myanmar |
| 9 | ინდონეზია /Indonesia | 18 | ომანი/ Oman | | |

| III ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანტიგუა და ბარბუდა/ Antigua and Barbuda | 31 | გუატემალა /Guatemala | 61 | წმინდა კიტსი და ნევისი (კრისტოფერი) /Saint Kitts and Nevis (Christofer) |
| 2 | არგენტინა /Argentina | 32 | გვინეა /Guinea | 62 | სენტ-ლუსია /Saint Lucia |
| 3 | არუბა /Aruba | 33 | გვინეა-ბისაუ /Guinea-Bissau | 63 | სენტ ვინსენტი და გრინი /Saint Vincent and Gren. |
| 4 | ავსტრალია /Australia | 34 | გაიანა /Guyana | 64 | სამოა/ Samoa |
| 5 | ბაჰამის კუნძ./Bahamas | 35 | ჰაიტი /Haiti | 65 | სან-ტომე და პრინსიპი /Sao Tome and Principe |
| 6 | ბარბადოსი /Barbados | 36 | ჰონდურასი/ Honduras | 66 | სენეგალი /Senegal |
| 7 | ბელიზი /Belize | 37 | იაპონია /Japan | 67 | სეიშელი /Seychelles |
| 8 | ბენინი /Benin | 38 | იამაიკა /Jamaica | 68 | სიერა ლიონე /Sierra Leone |
| 9 | ბერმუდი /Bermudi | 39 | კირიბატი /Kiribati | 69 | სოლომონის კუნძულები /Solomon Islands |
| 10 | ბოლივია /Bolivia | 40 | ლესოტო /Lesotho | 70 | სომალი /Somali |
| 11 | ბრაზილია /Brazil | 41 | ლიბერია /Liberia | 71 | სუდანი /Sudan |
| 12 | ბურკინა ფასო /Burkina Faso | 42 | მაკაუ /Macau | 72 | სურინამი /Suriname |
| 13 | ბურუნდი /Burundi | 43 | მადაგასკარი /Madagascar | 73 | ტოგო /Togo |
| 14 | კანადა /Canada | 44 | მალავი /Malawi | 74 | ტონგა /Tonga |
| 15 | კაბო ვერდე /Cape Verde | 45 | მალდივები /Maldives | 75 | ტუნისი /Tunisia |
| 16 | ცენტრალური აფრიკის რესპ./Central African Republic | 46 | მალი /Mali | 76 | აშშ/ USA |
| 17 | ჩადი /Chad | 47 | მავრიტანია/ Mauritania | 77 | ურუგვაი /Uruguay |
| 18 | ჩილე /Chile | 48 | მავრიკი /Mauritius | 78 | ვანუატუ /Vanuatu |
| 19 | კომორის კუნძ. /Comoros | 49 | მექსიკა /Mexico | 79 | ვენესუელა /Venezuela |
| 20 | კონგოს დემოკრ. რესპ. /Congo, Democratic Rep. | 50 | მოზამბიკი /Mozambique | 80 | იემენი /Yemen |
| 21 | კონგო, კონგოს რესპ./ Congo, Republic of Congo | 51 | ნამიბია /Namibia | 81 | ზამბია /Zambia |
| 22 | კოსტა რიკა /Costa Rica | 52 | ნაურუ /Nauru | 82 | ანგილია / Anguilla |
| 23 | კოტ დივუარი /Cote d'Ivoire | 53 | ახალი ზელანდია /New Zealand | 83 | კაიმანის კუნძულები / Cayman Islands |
| 24 | კუბა /Cuba | 54 | ნიკარაგუა /Nicaragua | 84 | დომინიკა / Dominica |
| 25 | ჯიბუტი /Djibouti | 55 | ნიგერ /Niger | 85 | სალვადორი / El Salvador |
| 26 | ფიჯი / Fiji | 56 | პანამა /Panama | 86 | ეკვატორული გვინეა / Equatorial Guinea |
| 27 | გაბონი /Gabon | 57 | პაპუა ახალი გვინეა /Papua New Guinea | 87 | ერიტრეა / Eritrea |
| 28 | გამბია /Gambia | 58 | პარაგვაი /Paraguay | 88 | გიბრალტარი / Gibraltar |
| 29 | განა /Ghana | 59 | პერუ /Peru | 89 | ახალი კალედონია / New Caledonia |
| 30 | გრენადა /Grenada | 60 | რუანდა /Rwanda | | |

## მუხლი 68. სახელმწიფოები, სადაც ხორციელდება AVIA გზავნილის გაგზავნა

68.1. „საქართველოს ფოსტა“ AVIA გზავნილის გაგზავნას ახორციელებს შემდეგ ქვეყნებში:

| ქვეყანა | ზონა | ქვეყანა | ზონა | ქვეყანა | ზონა |
|---|---|---|---|---|---|
| ავღანეთი | 5 | გუინეა-ბისაუ | 6 | კოლუმბია | 5 |
| ალბანეთი | 6 | გაერთიანებული სამეფო | 1 | კომორის კუნძულები | 5 |
| ალჟირი | 5 | გაერთ. არაბეთის ემირატები | 1 | კონგო | 6 |
| ამერიკული სამოა | 6 | ჩადი | 6 | კუკის კუნძულები | 6 |
| ანდორა | 3 | ნორმანდიის კუნძულები | 3 | კოსტა რიკა | 5 |
| ანგოლა | 6 | ჩილე | 5 | კოტ დიუვარი | 6 |
| ანგილია | 5 | ჩინეთი | 2 | კვიპროსი | 2 |
| ანტიგუა და ბარბადუა | 5 | შობის კუნძული | 6 | კონგოს დემ. რესპუბლიკა | 6 |
| არგენტინა | 5 | დანია | 3 | კატარი | 2 |
| სომხეთი | 1 | დომინიკა | 5 | კენია | 2 |
| არუბა | 5 | დომინიკის რესპუბლიკა | 5 | კოსოვო | 6 |
| ავსტრალია | 3 | ეკვადორი | 5 | კუვეიტი | 2 |
| ავსტრია | 2 | ეგვიპტე | 2 | კუნძული მადეირა | 6 |
| აზერბაიჯანი | 1 | ელ სალვადორი | 5 | ლატვია | 2 |
| აზორის კუნძულები | 6 | ერიტრეა | 5 | ლიბანი | 2 |
| ახალი ზელანდია | 5 | ესტონეთი | 4 | ლესოტო | 4 |
| აშშ | 3 | ეთიოპია | 4 | ლიბია | 2 |
| აღ. ტიმორი | 6 | ესპანეთი | 2 | ლიხტენშტეინი | 2 |
| ბაჰამის კუნძულები | 5 | ერაყი | 2 | ლიტვა | 2 |
| ბაჰრეინი | 2 | ესპანეთი ( სეუტა & მელილია) | 3 | ლუქსემბურგი | 3 |
| ბანგლადეში | 2 | ვანუატუ | 6 | მონტსერატი | 5 |
| ბარბადოსი | 5 | ვატიკანი | 3 | მაროკო | 3 |
| ბელორუსია | 5 | ვენესუელა | 5 | მოზამბიკი | 5 |
| ბელგია | 2 | ვიეტნამი | 3 | მაკაო | 3 |
| ბელიზი | 5 | ვირჯინიის კუნძულები, ბრიტ | 5 | მაკედონია | 5 |
| ბენინი | 6 | ვირჯინიის კუნძულები, აშშ | 5 | მადაგასკარი | 4 |
| ბერმუდის კუნძულები | 5 | ზამბია | 3 | მალავი | 5 |
| ბუტანი | 4 | ზიმბაბვე | 5 | მალაიზია | 3 |
| ბოლივია | 5 | თურქეთი | 1 | მალდივები | 4 |
| ბოსნია და ჰერცოგოვინა | 5 | თურქმენეთი | 5 | მალი | 6 |
| ბოტსვანა | 4 | იაპონია | 5 | მალტა | 3 |
| ბრაზილია | 5 | ინდოეთი | 2 | მარტინიკა | 5 |
| ბრუნეი | 4 | ინდონეზია | 2 | მავრიტანია | 6 |
| ბულგარეთი | 2 | ირანი | 2 | მავრიკი | 3 |
| ბურკინა-ფასო | 4 | იორდანია | 2 | მაიოტა | 5 |
| ბურუნდი | 4 | ისლანდია | 6 | მექსიკა | 5 |
| გამბია | 6 | იემენი | 2 | მოლდოვა | 4 |
| გერმანია | 2 | იტალია | 2 | მონაკო | 2 |
| განა | 3 | იამაიკა | 5 | მონტენეგრო | 6 |
| გიბლარტარი | 4 | ისრაელი | 3 | მიანმა | 4 |
| გრენადა | 5 | ირლანდია | 4 | მენის კუნძული | 3 |
| გვადალუპე | 5 | კამბოჯა | 4 | ნამიბია | 5 |
| გუამი | 6 | კამერუნი | 6 | ნეპალი | 2 |
| გვატემალა | 5 | კანადა | 3 | ნიდერლანდები | 2 |
| გერნზი | 3 | კანარის კუნძულები | 4 | ნიკარაგუა | 5 |
| გვინეა | 6 | კაიმანის კუნძულები | 5 | ნიგერი | 6 |
| | | | | | |

| ქვეყანა | ზონა | ქვეყანა | ზონა | ქვეყანა | ზონა |
|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 3 | სლოვენია | 3 | ტუვალუ | 6 |
| ნორფლოკის კუნძულები | 6 | სოლომონის კუნძულები | 6 | უგანდა | 3 |
| ნორვეგია | 3 | სამხ. აფრიკა | 3 | უკრაინა | 2 |
| ომანი | 2 | სამხ. სუდანი | 5 | ურუგვაი | 5 |
| პაკისტანი | 2 | საფრანგეთი | 2 | უზბეკეთი | 3 |
| პალესტინა (W) | 5 | საფრანგეთის პოლინეზია | 6 | უელსი | 2 |
| პაპუა ახალი გვინეა | 5 | საბერძნეთი | 2 | უოლისი და ფუტუნა | 6 |
| პარაგვაი | 6 | სან მარინო | 3 | უნგრეთი | 2 |
| პერუ | 5 | სენტ კიტსი და ნევისი | 5 | ფიჯი | 5 |
| პიტკერნი | 6 | სენტ-ლუსია | 5 | ფინეთი | 2 |
| პოლონეთი | 3 | სენტ-ვინსენტი და გრენადინები | 5 | ფილიპინები | 2 |
| პორტუგალია | 2 | სუდანი | 3 | ქოქოსის კუნძულები | 6 |
| პუერტო რიკო | 6 | სვაზილენდი | 5 | ყაზახეთი | 2 |
| რეიუნიონი | 4 | შვედეთი | 3 | ყირგიზეთი | 3 |
| რუმინეთი | 2 | შვეიცარია | 2 | შოტლანდია | 2 |
| რუსეთი | 1 | სირია (W) | 2 | შრი ლანკა | 2 |
| რუანდა | 4 | სამხ. კორეა | 3 | ჩეხეთი | 2 |
| სამოა | 6 | ტაივანი | 3 | ჩრდ. ირლანდია | 2 |
| სან მარინო | 4 | ტაჯიკეთი | 6 | ცენტრალური აფრიკა | 6 |
| საუდის არაბეთი | 2 | ტანზანია | 3 | ჯერსი | 3 |
| სენეგალი | 5 | ტაილანდი | 3 | ჯიბუტი | 5 |
| სერბეთი | 6 | ტოგო | 6 | ხორვატია | 3 |
| სეიშელი | 4 | ტონგა | 6 | ჰაიტი | 5 |
| სიერა ლეონე | 6 | ტრინიდადი და ტობაგო | 5 | ჰონდურასი | 5 |
| სინგაპური | 2 | ტუნისი | 4 | ჰონგ-კონგი | 2 |
| სლოვაკეთი | 3 | ტერქსისა და კაიკოსის კუნძ. | 5 | | |

**შენიშვნა:** რუსეთში იგზავნება მხოლოდ დოკუმენტაცია და მხოლოდ შემდეგ ქალაქებში: მოსკოვი, სანკტ პეტერბურგი.

## მუხლი 69. სახელმწიფოები, საიდანაც ხორციელდება სახმელეთო ამანათის მიღება

69.1. „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათის მიღებას ახორციელებს შემდეგი სახელმწიფოებიდან:

- რუსეთი;
- თურქეთი;
- საბერძნეთი;
- იტალია.

## თავი 22. სავალდებულო საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ჩაბარების წესი

### მუხლი 70. სავალდებულო საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე ჩაბარების წესი

70.1. საერთაშორისო შემომავალი საფოსტო გზავნილი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება სავალდებულო საბაჟო დეკლარირებას, საქართველოს ფოსტა"-ს მიერ გაიცემა მხოლოდ ამგვარი დეკლარირების განხორციელების შემდეგ.

70.2. საფოსტო გზავნილის დეკლარირების უფლება აქვს მხოლოდ ადრესატს (უშუალოდ იმ პირს ვისზეც დამისამართებულია გზავნილი, ან მის კანონიერ წარმომადგენელს, სათანადო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე).

70.3. ადრესატი უფლებამოსილია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა განახორციელოს „საქართველოს ფოსტა"-ს სერვისცენტრის საშუალებით.

70.4. საბაჟო დეკლარირებისას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია (დოკუმენტი).

70.5. საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, ადრესატს უფლება აქვს მოითხოვოს საფოსტო გზავნილის გახსნა და დათვალიერება. ასეთ შემთხვევაში, მისი გახსნა ხორციელდება საბაჟო ტერმინალში, ადრესატის, „საქართველოს ფოსტა"-სა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით.

70.6. ადრესატის მიერ საფოსტო გზავნილის დეკლარირების ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს. ამ ვადაში დეკლარირების განუხორციელებლობის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილი უკან ბრუნდება გამომგზავნთან, თუ ადრესატი არ მიიღებს მისი სახელმწიფოსთვის გადაცემის გადაწყვეტილებას. სახმელეთო ამანათი არ ექვემდებარება უკან - გამგზავნისთვის დაბრუნებას და იგი გადაეცემა სახელმწიფოს.

70.7. „საქართველოს ფოსტა" პასუხს არ აგებს მომხმარებლის მიერ შევსებულ საბაჟო დეკლარაციაზე, აგრეთვე იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც საბაჟო ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული იქნება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების შემოწმებისას.

### მუხლი 71. საბაჟო პროცედურებს დაქვემდებარებული საერთაშორისო გამავალი საფოსტო გზავნილების დანიშნულების ქვეყანაში ჩაბარების წესი

71.1.საფოსტო გზავნილის მიმღები ქვეყანა დამოუკიდებლად განსაზღვრავს იმ პროცედურებს, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს საფოსტო გზავნილი, მისი ასეთ ქვეყანაში შესვლის დროს.

71.2.საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საკუთარი გადაწყვეტილებით შეაჩეროს, გახსნას, შეამოწმოს, დაუქვემდებაროს სავალდებულო დეკლარირებას ან/და დაბეგვრას, ან გაანადგუროს საფოსტო გზავნილი.

71.3.„საქართველოს ფოსტა“ არ იღებს პასუხისმგებლობას სხვა ქვეყნის საბაჟო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

## თავი 23. აკრძალვები და შეზღუდვები

### მუხლი 72. აკრძალვები და შეზღუდვები საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ

72.1.საფოსტო გზავნილით აკრძალულია შემდეგი საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა:

72.1.1. ნარკოტიკები და ფსიქოტროპული საშუალებები, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები;

72.1.2. რადიაქტიური ნივთიერებანი;

72.1.3. ფეთქებადი, აალებადი, ტოქსიკური, ბიოლოგიური, ინფექციური და სხვა საშიში ნივთიერებანი;

72.1.4.იარაღი, არააღჭურვილი ფეთქებადი მოწყობილობები და საბრძოლო მასალები, მათ შორის არააღჭურვილი ყუმბარები, ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, აგრეთვე ასეთი მოწყობილობებისა და საგნების მულაჟები;

72.1.5.საგნები რომლებსაც კავშირი აქვთ პედოფილიასთან და ბავშვთა პორნოგრაფიასთან;

72.1.6.ცოცხალი ცხოველები;

72.1.7. ფულის ნიშნები, საბანკო და საკრედიტო ბარათები, დაუმუშავებელი პლატინა, ოქრო და ვერცხლი ან/და მათი ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები და სხვა ძვირფასი ნივთები;

72.1.8. საგნები, რომელთა იმპორტის ან ექსპორტის აკრძალვა ან შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონმდებლობით;

72.1.9.კონტრაფაქტული ან მეკობრული საგნები;

72.1.10.საგნები, რომლებიც თავისი ხასიათით ან შეფუთვით შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს „საქართველოს ფოსტის“ და სატრანსპორტო გადამზიდავთა თანამშრომლებისათვის, საშუალებებისთვის ან მოსახლეობისათვის, აბინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, კომპანიის მოწყობილობებს ან მესამე პირის საკუთრებას;

72.1.11.გზავნილები, რომლებიც იგზავნება თაღლითობის ხელშესაწყობად ან გადასახდელი თანხის სრულად გადახდის თავიდან აცილების მიზნით;

72.1.12. მალფუჭებადი პროდუქტი.

72.2. ამ მუხლის პუნქტი 72.1.-ში აღნიშნულის გარდა, საერთაშორისო გამავალ საფოსტო გზავნილებში დაუშვებელია აგრეთვე ისეთი ნივთიერების, საგნების, ცხოველების, პროდუქტების და მასალების ჩადება, რომლებიც აკრძალულია საფოსტო გზავნილის ადრესატის ქვეყანაში ან აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით;

72.3. თუ საფოსტო გზავნილის შიგთავსის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი დოკუმენტის (ნებართვის) წარდგენის ვალდებულება, ასეთი გზავნილის გაგზავნა ხორციელდება გამგზავნის მიერ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია დააკავოს ნებისმიერი

საფოსტო გზავნილი თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გზავნილი შეიძლება შეიცავდეს ამ მუხლის 72.1. და 72.2. პუნქტებით გათვალისწინებულ აკრძალულ საგნებს, ნივთიერებებს, მასალებს, ცხოველებს ან პროდუქტებს. ასეთ შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ საფოსტო გზავნილს გადასცემს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მომხმარებლის წინაშე პასუხს არ აგებს ასეთი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

## თავი 24. დასკვნითი დებულებები

### მუხლი 73. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

73.1. საფოსტო მომსახურების ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, თუ ჩათვლის, რომ „საქართველოს ფოსტის“ მხრიდან დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მისი უფლებები.

73.2. მომხმარებელს უფლება აქვს „საქართველოს ფოსტასთან“ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს.

### მუხლი 74. ინტერპრეტაცია და ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

74.1. თუ ამ დოკუმენტის რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი დოკუმენტის ბათილობას. ამ შემთხვევაში დოკუმენტის დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

74.2. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დოკუმენტით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აგრეთვე შემდეგი საერთაშორისო რეგულაციებით: მსოფლიო საფოსტო კავშირის წესდება; მსოფლიო საფოსტო კავშირის საერთო რეგლამენტი; მსოფლიო საფოსტო კონვენცია; წერილობითი კორესპონდენციის რეგლამენტი; საფოსტო ამანათების შეთანხმება; შეთანხმება საფოსტო ფულად გზავნილებზე; EMS -ის ოპერირების სახელმძღვანელო; EMS კოოპერატივის სტანდარტები.

74.3. ამ დოკუმენტში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაში შედის მისი „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის ხელმოწერისა და კომპანიის ვებ გვერდზე განთავსების დღიდან, თუ ცვლილებისა და დამატებების დოკუმენტი თავად არ შეიცავს მითითებას მისი ძალაში უფრო გვიანი თარიღით შესვლის შესახებ.

73.4. ამ დოკუმენტის კარებს, თავებსა და მუხლებს სათაურები წამძღვარებული აქვთ დოკუმენტის ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ისინი მხედველობაში არ მიიღებიან როგორც ამ დოკუმენტის რაიმე დებულების განმსაზღვრელნი, შემცვლელნი ან განმარტავნი.